

თემა: ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფა, ბუღალტრული აღრიცხვა და დაბეგვრა

1. ბიზნესის ფინანსური რესურსები

ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო ბიზნესს გამუდმებით ესაჭიროება ფული. მისი მოვლა ყოველთვის ადვილი როდია. ადამიანების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საკუთარი საქმის დაწყებაში მათ მხოლოდ უფულობა უშლის ხელს, ხოლო უკვე მოქმედი საწარმოების ფინანსური მენეჯერები თავისი სამუშაო დროის დაახლოებით 60% სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას უთმობენ.

ბიზნესის წამოწყებისა და განვითარებისათვის ფულადი სახსრების მოძიებას დაფინანსება ეწოდება. მისი მთავარი ამოცანა ბიზნესის ლიკვიდურობის უზრუნველყოფაა. ლიკვიდურობაში კი იგულისხმება საწარმოს უნარი განახორციელოს ანგარიშსწორება იმ მოცულობით და ზუსტად იმ ვადებში რაც შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ლიკვიდურ საწარმოს შესწევს უნარი შეუფერხებლად განახორციელოს მიმდინარე საქმიანობა, ანუ მას გააჩნია საკმარისი სახსრები იმისათვის, რათა გაისტუმროს დაქირავებული თანამშრომლები, მიმწოდებლები, ინვესტორები, გადაიხადოს გადასახადები და ა.შ. პირიქით, ფირმას, რომელსაც შექმნილი აქვს ლიკვიდურობის პრობლემა, ვერ ახერხებს საჭირო რაოდენობის რესურსების მოძიებას, რითაც ფერხდება მისი მიმდინარე საქმიანობა. შეიძლება ლიკვიდურობის პრობლემას დროებითი ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ეს ხშირად იმის პირველი სიმპტომია, რომ ბიზნესი სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, რაც შეიძლება გაკოტრებითაც დასრულდეს.

ბიზნესი ფულს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს:

- ინვესტიციები შენობებსა და მანქანა მოწყობილობებში;
- საწარმოს გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ნედლეულისა და მასალების შეძენა,
- მიმდინარე ხარჯების გასტუმრება,
- თამასუქებისა და ანგარიშების განაღდება,
- სხვადასხვა სახის საგნების შეძენა (საკანცელარიო საქონელი, ნათურები).
- თანამშრომლებზე ხელფასის გაცემა;
- გადასახადების გადახდა;
- ინვესტიციები ახალ პროექტებში ან სხვა ფირმებში (მათი აქციების შეძენა);
- სესხებზე საპროცენტო განაკვეთის გადახდა.

იმისათვის, რომ საწარმომ შესძლოს აღნიშნული ხარჯების გასტუმრება, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები. ბიზნესის ფინანსური რესურსები ფორმირდება საწარმოს დაფუძნებასთან ერთად და ივსება ძირითადი საქმიანობის, ზედმეტი ქონების რეალიზაციის, ასევე დაფინანსების გარე წყაროების მოძიების შედეგად. ბიზნესის ფინანსური რესურსები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს - საკუთარი და ნასესხები.

საკუთარი ფინანსური რესურსები მოიცავს:

- საწესდებო კაპიტალს;
- საწარმოს ძირითადი საქმიანობის შედეგად დაგროვილ რესურსებს;
- საკუთარი ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს;
- იურიდიული და ფიზიკური პირების სხვა შენატანებს.

ბიზნესის საკუთარი ფინანსური რესურსები ფორმირდება მისი დაფუძნების მომენტში, როდესაც იქმნება საწესდებო ფონდი (აქციების გაყიდვით მიღებული თანხები და საპაიო შენატანები), მისი მოცულობა ფიქსირდება საწარმოს რეგისტრაციის დროს. ესაა სასტარტო კაპიტალი, რომელიც საჭიროა ბიზნესის დასაწყებად.

საწარმო ფუნქციონირების პროცესში, როგორც წესი, მოიხმარს რესურსებს იმ საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რომლებიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. თუ საქონელი ან მომსახურება აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ ამ საქონლისა და მომსახურების საფასური და ამით ხელი შეუწყონ საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლას. ფულადი სახსრები კი, როგორც უნივერსალური საწარმოო რესურსი, თავისთავად ფირმას ემსახურება. საწარმოები შემოსავლის სახით ასევე ღებულობენ:

- ✓ პროცენტებს - საარმოს კუთვნილი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამოყენებაზე;
- ✓ როიალტებს - შემოსავლები საწარმოს კუთვნილი არამატერიალური აქტივების გამოყენების უფლების გადაცემისათვის. მაგალითად: პატენტების, სავაჭრო ნიშნების, საავტორო უფლებებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის გამოყენებაზე;
- ✓ დივიდენდებს - სხვა ფორმების აქციების ფლობისათვის, საკუთარ კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად, კაპიტალის კლასის მიხედვით.

მიღებული შემოსავლებიდან დანახარჯების გამოქვითვით ფორმირდება საწარმოს მოგება, რაც ბიზნესის უმთავრეს მიზანს და იმავდროულად მისი განვითარების, საკუთარი კაპიტალის ზრდის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ (წმინდა მოგება) შეიძლება დაემატოს გაუნაწილებელი მოგების ერთიან ფონდს, ან გამოიყენონ სხვადასხვა ფონდების შესაქმნელად:

- სარეზერვო ფონდი;
- კვლევებისა და განვითარების ფონდი;
- სოციალური განვითარების ფონდი;
- საქველმოქმედო ფონდი და სხვა.

მოგების ხარჯზე შექმნილი ფონდების გარდა, საწარმოში ძირითადი საქმიანობის შედეგად იქმნება ეგრედწოდებული ამორტიზაციის ფონდი. ეს არის ის თანხა, რომელიც საამორტიზაციო ანარიცხების სახით გროვდება და უნდა მოხმარდეს გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის აღდგენას, თუმცა ამ სახსრების სხვა დანიშნულებით გამოყენებაც შესაძლებელია.

ბევრ საწარმოს გააჩნია ქონება - მიწის ნაკვეთი, შენობა, სატრანსპორტო საშუალება და ა.შ., რომელსაც ის სრული დატვირთვით არ იყენებს და შეუძლია საქმიანობა მის გარეშე შეუფერხებლად გააგრძელოს. ბუნებრივია, ეს აქტივები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიყიდოს და ვალდებულებების დაფარვას მოხმარდეს.

აღნიშნულის გარდა, საწარმოს ფულის მიღება შეუძლია სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსების, შემოწირულობების ან შენატანების სახით. ამის თვალსაჩინო მაგალითია სუბსიდიები და სუბვენციები, რომელიც არ ექვემდებარება სესხის უმთავრეს პრინციპს - დაბრუნებადობას. სუბვენცია - საბიუჯეტო სახსრებია, რომელიც ეძლევა საწარმოს განსაზღვრული მიზნობრივი ხარჯების გასაწევად უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე. სუბსიდია - ასევე საბიუჯეტო სახსრებია, რომელიც გამოიყოფა თანადაფინანსების პრინციპით გარკვეული მიზნობრივი ხარჯების გასაწევად, რა თქმა უნდა, უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე. ბუნებრივია, ასეთ დროს მიზანი შეიძლება იყოს ფასების ზრდის თავიდან აცილება, საგარეო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის გატანა, ცალკეული დარგების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

სამწუხაროდ ბიზნესს არ შეუძლია ყველა ხარჯი საკუთარი ფინანსური რესურსებით გაისტუმროს. ამის მიზეზი დაკავშირებულია ფულადი სახსრების ნაკადის თავისებურებებთან:

- ✓ საწარმოს მიერ შემოსავლის მიღების მომენტი დროში ჩამორჩება გასასტუმრებელი ხარჯებისას;
- ✓ საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ფასების მოულოდნელი შემცირება;
- ✓ ნედლეულზე და მასალებზე ფასების მოულოდნელი ზრდა;
- ✓ ბიზნესის გაფართოება.

შედეგად წარმოიქმნება ნასესხები ფინანსური რესურსების ფორმირების აუცილებლობა. მათი მიღება შესაძლებელია ნათესავებისა და მეგობრებისაგან ფულის სესხებით, არაფორმალური ინვესტორების მოძიებით, ბანკებიდან კრედიტის აღებით, ასევე ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, კრედიტორული დავალიანების გაზრდით, ანუ გადახდების გადავადებით და სხვა.

რა თქმა უნდა, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. მათ განეკუთვნება: საპროცენტო გადასახდელები; ფინანსური კონსულტანტების, იურისტების, ბუღალტრების, შუამავლების, აუდიტორების ანაზღაურება და სხვა. სპეციალისტების შეფასებით ფინანსების მოძიების საერთო დანახარჯები მისი მოცულობის დაახლოებით 25%

შეადგენს. მიუხედავად ამისა, ნასესხებ ფინანსურ რესურსებს საკუთართან მიმართებით გარკვეული უპირატესობებიც გააჩნია.

საკუთარსა და ნასესხებ ფინანსურ რესურსებს შორის არჩევანის გაკეთება მოითხოვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებასაც როგორცაა: საგადასახადო რეჟიმი და ვალის დაფარვის პირობები. ამ თვალსაზრისით ნასესხები კაპიტალი შეიძლება საკუთარ (სააქციო) კაპიტალზე მიმზიდველი აღმოჩნდეს. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

- ✓ სესხზე გადასახდელი პროცენტების გამოქვითვა შეიძლება გადასახადებს დაქვემდებარებული თანხებიდან, ხოლო აქციონერებზე გასანაწილებელი მოგება ჩვეულებრივ იბეგრება;
- ✓ კრედიტორთა ვალები პირველ რიგშია გასასტუმრებელი, აქციებზე კი დივიდენდები შეიძლება არ გაიცეს. შესაბამისად, კრედიტორთა რისკი ნაკლებია და ნასესხებ საშუალებებზე საწარმოს შეუძლია ნაკლები პროცენტის გადახდა, ვიდრე დივიდენდი იქნებოდა.

ნასესხები კაპიტალის აღნიშნული უპირატესობების მიუხედავად, მას მაინც ახასიათებს რისკის ძალიან მაღალი დონე, რაც განპირობებულია:

- ✓ სესხზე პროცენტის გადახდის აუცილებლობით. აქციების გაყიდვის დროს საწარმოს წლების განმავლობაში შეუძლია არ გასცეს დივიდენდი, ხოლო სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი გაკოტრებულად ჩაითვლება;
- ✓ სესხის მიღების და გაფორმების რთული პროცედურებით;
- ✓ სესხის უზრუნველყოფის აუცილებლობით;
- ✓ ნასესხები რესურსების მოზიდვის გამო ბალანსის სტრუქტურის გაუარესებით, რამაც შეიძლება ბიზნესს დააკარგინოს ფინანსური მდგრადობა, შეამციროს მისი გადახდისუნარიანობა და მიიყვანოს გაკოტრებამდე.

დაფინანსების წყაროების მოძიებისას აუცილებელია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება.

1. ფინანსური რესურსების დანიშნულება

რისთვის გვჭირდება ფინანსური რესურსები? ფული შეიძლება გვჭირდებოდეს ბიზნესის დასაწყებად ან მის გასაფართოვებლად. ფინანსური რესურსების ზოგიერთი წყარო უფრო ეფექტიანია ერთ შემთხვევაში, ხოლო სხვა ვითარებაში სრულიად გამოუსადეგარი. თუ თქვენ ფული გესაჭიროებათ საწყისი დაფინანსებისათვის მაგალითად, დაწყებული კვლევების დასასრულებლად ან ახალი პროდუქტის შესაქმნელად, მაშინ პირადი დანაზოგების ან საწარმოს საკუთარი ფინანსური რესურსების იმედათ ყოფნა მოგიწევთ. სამეცნიერო კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ხომ უძირო ჭაა, რომელიც დიდ თანხებს შთანთქავს და უკუგებას კი გვიან ან საერთოდ არ იძლევა. ბანკები და სხვა საკრედიტო ინსტიტუტები, როგორც წესი, ასეთ სარისკო საქმეებს არ აფინანსებენ.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი ბიზნესი წარმატებულია და ფინანსები გაფართოებისა და ახალი ბაზრების ათვისებისათვის გესაჭიროებათ, თქვენთვის ყველა საკრედიტო ინსტიტუტის კარი ღიაა. განსაკუთრებით, თუ ბიზნესი დაკავშირებულია მაღალ ტექნოლოგიებთან. რა თქმა უნდა, გარკვეული სირთულეები გამორიცხული არაა, მაგრამ შანსები 99% უფრო მაღალია, ვიდრე დამწყები ბიზნესისათვის.

2. პირადი მისწრაფებები

დაფინანსების წყაროს ძიებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრას. მეწარმეები ესწრაფვიან დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი და მართონ ბიზნესი. ზოგიერთი ადამიანი განიცდის დიდ დისკომფორტს იმის გამო, რომ აქვს ვალები, ამიტომ თავიდანვე უარს ამბობს საბანკო სესხებზე. სხვებს არ უყვართ ძალაუფლების განაწილება და არც კი განიხილავენ ბიზნეს-პარტნიორების მოძებნის ან საწარმოს აქციონერების ვარიანტს. გაცილებით მეტი პრობლემის გადალახვა მოგიწევთ, თუ თქვენ ორივე კატეგორიის ადამიანს განეკუთვნებით. ამ შემთხვევაში ბიზნესის განვითარების ტემპები პოტენციურად შესაძლებელზე დაბალი აღმოჩნდება და ხელიდან გაუშვებთ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.

3. ინვესტორების მიზნები

ყველა ინვესტორს გააჩნია საკუთარი მიზნები, რომლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ეს მიზნები ხშირ შემთხვევაში შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თქვენს ინტერესებს,

თუ რა თქმა უნდა, ვინმე ალტრუსტი არ შეგხვდათ, რომელიც სიამოვნებას თქვენი წარმატებებით ღებულობს. ინვესტორების უმრავლესობა კონკრეტულ ბიზნესში ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში აბანდებს, თუ ის ელოდება გარკვეულ სარგებელს. ეს შეიძლება გამოიხატოს მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებში, სააქციო კაპიტალის ნამატში, გარკვეულ პრივილეგიებში (პრესტიჟული ოფისი, სამსახურებრივი ავტომობილი, სამივლინებო ხარჯები და ა.შ.) და სხვა.

2. ბიზნესის საწყისი სტადიის დაფინანსება

2.1 ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის სპეციფიკა დინამიკაში

ბიზნესის დაფინანსებისათვის საჭირო ფულის რაოდენობა, ისევე როგორც მისი დაფინანსების წყაროები, დამოკიდებულია ბიზნესის სასიცოცხლო ციკლზე.


ბიზნესის განვითარების სტადიების გამოყოფისას გადამწყვეტს რისკის დონე და მისი ხასიათი წარმოადგენს. მაგალითად, მოიაზრება, რომ თესვის სტადიის დასრულება ხსნის ახალ ტექნოლოგიასთან, საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებულ რისკს. სთართ-აფ სტადიის დასრულება კი უზრუნველყოფს პრინციპული არაკომერციულობის (საქონლის ბაზარზე გასვლის შეუძლებლობა) რისკის მოხსნას.

ბიზნესის განვითარების ეტაპები

დასახელება (ინგლისურად)	დასახელება (ქართულად)	საჭირო ინვესტიციები (დოლარებში)	აღწერა
Seed	თესვა	1000000- მდე	საწარმოს ფორმირება, პროექტისა და ბიზნეს-იდეის არსებობა, მმართველი გუნდის შექმნა და მარკეტინგული კვლევების ჩატარება.
Start up	ტსტარი	1000000-დან 5 000000	საწარმო ფუნციონირებს, არსებობს ბიზნეს-გეგმა, საცდელი ნიმუშები, მიმდინარეობს სერიული წარმოების ორგანიზება, ტარდება სამუშაოები პროდუქტის ბაზარზე გასატანად.
Early stage, Early growth	ადრეული ზრდა	5000000-დან 10000000	მიმდინარეობს მზა პროდუქციის გამოშვება და კომერციული რეალიზაცია. საწარმოს ჯერ არ გააჩნია მყარი მოგება. ამ სტადიაზე ხდება უზარალობის წერტილის მიღწევა.
Axspantion	გაფართოება	10000000 -ზე მეტ	საწარმო იკავებს მყარ პოზიციას ბაზარზე, იღებს სტაბილურ მოგებას, ფართოვდება წარმოება და რეალიზაცია, იზრდება ძირითადი ფონდები.
Later stage	გვიანი სტატდია, მდგრადი განვითარება	დამოკიდებული ა საჭიროებებზე	მტკიცე პოზიციები სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე, მდგრადი მოგება და დივიდენდების გადახდა. ყოველწლიური ზრდის ტემპი მცირეა, საწარმოს აქციები უკვე იყიდება საფონდო ბირჟაზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია ქვეყნებისა და კონკრეტული ინვესტორების მიხედვითაც კი განსხვავებულია. ზოგჯერ ერთ კატეგორიაში აერთიანებენ თესვისა და სთართ-აფ პროექტებს, ან პირიქით დამატებით გამოყოფენ იდეის თავდაპირველი დამუშავების სტადიას. აღნიშნულის მიუხედავად, საწარმოს განვითარების ეტაპების გამოყოფა დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ბიზნესში. მას აქვს მკაფიო პრაქტიკული დატვირთვა, რადგან სხვადასხვა ეტაპებზე ბიზნესი განსხვავებული წყაროდან ფინანსდება. ამ მოვლენას `საინვესტიციო ჯაჭვი` ეწოდება.

1 - თესვის სტადია; 2 - სთართ-აფი; 3 - ადრეული ზრდა; 4 - გაფართოება; 5 - მდგრადი განვითარება.



საწარმოს ფინანსური ჩავარდნა, რომელიც გამოსახულია ნახაზზე, გამოცდილი კერძო ინვესტორების წრეში „სიკვდილის ველის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მისი პიკი სთართ-აფიდან ადრეული ზრდის ფაზისაკენ გარდამავალ ეტაპზე მდებარეობს. ეს დაკავშირებულია წარმოების მოცულობის ზრდასთან, როდესაც ფირმა ცდილობს მზარდ საბაზრო მოთხოვნას შესაბამისი მიწოდებით უპასუხოს. ამისათვის ბუნებრივია საჭიროა დამატებითი დაფინანსება, რათა დაიფაროს გასაწევი ხარჯები: მოწყობილობებზე, ნედლეულზე, მასალებზე, სამუშაო ძალაზე, ენერჯიაზე და ა.შ.

არანაკლებ რთულია თესვის სტადიაც, როდესაც პროექტი მხოლოდ იდეის ან ინტელექტუალური საკუთრების პაკეტის დონეზე იმყოფება, ხოლო საწარმო ჯერ ისევ ფორმირების სტადიაზეა. როგორც წესი, ამ ეტაპზე მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ბიზნესის მოდელი, ძირითადი გუნდის შემადგენლობა, მიზნობრივი ბაზარი და მისი ათვისების სტრატეგია, ხოლო ფინანსური მაჩვენებლები კი საწარმოს დამფუძნებლების ოპტიმისტური ვარაუდები უფროა, ვიდრე ობიექტურ გათვლებზე დაფუძნებული პროგნოზები. თუმცა, „სიკვდილის ველის“ ფაზისაგან განსხვავებით საჭირო ფინანსების მოცულობა არც ისე დიდია. ამის საჭიროება გაჩნდება მოგვიანებით, როდესაც საქონელი წარმატებით გაივლის საბაზრო გამოცდას, წარმოების ტექნოლოგიისა და ხარისხის მიხედვით შეიძენს საბოლოო, სტანდარტულ ფორმებს და დაიწყება მისი მასობრივი წარმოების ორგანიზება.

საწყის სტადიაზე როდესაც პიროვნებას განსაზღვრული აქვს, თუ რა დაჯდება სასურველი ბიზნესის დაწყება, შემდეგი საკითხი, რომლის გადაჭრაც მას უწევს არის - სად იშოვოს ამისათვის ფული?

ბიზნესის ამ სტადიაზე დაფინანსების წყაროს მოძიება გართულებულია, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ✓ დამწყებ ბიზნესს ბაზარზე პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნია, ამიტომ მისი ფინანსური პროგნოზები კრედიტორების და ინვესტორების თვალში მხოლოდ ოპტიმისტურ ვარაუდებად გამოიყურება;
- ✓ ახალი საწარმოები აწყდებიან ბაზარზე შედარების ბარიერებს, რის გამოც ხშირად განიცდიან წარუმატებლობას, შესაბამისად, მისი დაფინანსება ყველაზე სარისკო კაპიტალდაბანდებას წარმოადგენს;
- ✓ ახალი საწარმოების უმრავლესობას არ გააჩნია ლიცენზიები და პატენტები ინტელექტუალურ საკუთრებაზე, რაც მათ გარკვეულ უპირატესობას მიანიჭებდა;
- ✓ უმეტეს შემთხვევაში საწარმოს დამფუძნებლები ბიზნესში გამოუცდელეები არიან.

ამ და სხვა მიზეზების გამო, ბიზნესის დასაწყებად ყველაზე გავრცელებული დაფინანსების წყაროებია: პირადი დანაზოგები; ნათესავები და მეგობრები; ანგელოზები; არენდა;

კომერციული ბანკები და სპეციალური სახელმწიფო პროგრამები; მიმწოდებლები და მომხმარებლები.

2.2 პირადი დანაზოგები

პირადი დანაზოგებით ბიზნესის დაწყება იდეალური ვარიანტია. ამ დროს არ მოგიწევთ ვალის დროულად დაბრუნებაზე ნერვიულობა, ან უცხო ხალხთან საქმის დაჭერა. თუმცა, მთელი დანაზოგის ერთიანად საქმეში ჩადება ძალიან სარისკოა. დაიტოვეთ იმაზე უფრო მეტი ფული, ვიდრე თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება დაგჭირდეთ მოულოდნელი ხარჯების გასასტუმრებლად.

პირადი დანაზოგების განსაზღვრისათვის შეადგინეთ ოჯახის ბიუჯეტი. ჩამოწერეთ, თუ რამდენს გამოიმუშავებთ წელიწადში და საიდან შემოგდით ეს შემოსავალი. შეადგინეთ თქვენი ხარჯების სია, როგორცაა არენდა, კომუნალური მომსახურება, კვება, ჩაცმა და ა.შ. ამის შემდეგ შემოსავლებს გამოაკელით ხარჯები, რათა განსაზღვროთ პოტენციური დანაზოგები. კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ხარჯების სია, ხომ არ არის მათში ისეთი, რომელიც მაინცდამაინც აუცილებელი არ არის და რომლის შემცირება შესაძლებელია? ხომ არ შეგიძლიათ თქვენ და თქვენს მეუღლეს დამატებითი სამუშაოს შოვნა, რათა გაზარდოთ შემოსავალი? რამდენით გაზრდის ეს თქვენს პოტენციურ დანაზოგს ერთ წელიწადში?

შემდეგ ეტაპზე უნდა შეადგინოთ თქვენი პირადი ვალების სია. მაგ., თუ თქვენ ყიდულობთ უძრავ ქონებას განვადებით, როგორია დარჩენილი გადასახდელები?

შეადგინეთ კიდევ ერთი სია, სადაც შეიტანთ ყველა თქვენს აქტივს და იმას, რისი გაყიდვაც შეგიძლიათ (მაგალითად, აგარაკი, მიწის ნაკვეთი). მიუთითეთ რეალური ფასები, რასაც გაყიდვის შემთხვევაში მიიღებთ. გამოაკელით გასაყიდი აქტივების ღირებულებას თქვენი ვალების ღირებულება. ამით თქვენ დაადგენთ იმას, თუ რა თანხის სესხება შეგიძლიათ.

თუ თქვენ შეამცირებთ ყოველთვიურ დანახარჯებს, გაზრდით შემოსავლებს, შეამცირებთ ვალებს და გაყიდით აქტივების ნაწილს, რა დრო დაგეხარჯებათ იმაზე, რომ დააგროვოთ ბიზნესის დასაწყებად საკმარისი თანხა?

საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების შეფასებამ შეიძლება აჩვენოს, რომ ბიზნესის დასაწყებად რესურსები არ გყოფნით. გული არ გაიტეხოთ, უმრავლესობას ასე ემართება. ეს ის პირველი რეალური ბარიერია, რომლის გადალახვა უწევს თითქმის ყველა წარმატებულ მეწარმეს.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, თუ კიდევ არ გადაგიფიქრიათ საკუთარი ბიზნესის დაწყება, მაშინ მიმართეთ დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს. ამასთან, გახსოვდეთ შემდეგი წესი - არასოდეს არ ისეხოთ იმაზე მეტი, ვიდრე ეს აუცილებელია თქვენი ბიზნესის დასაწყებად. რადგან ხშირად ისე ხდება რომ, რაც მეტია თანხა, მით უფრო ნაკლები ეფექტი იხარჯება.

2.3 ნათესავები და მეგობრები

ადამიანები, რომლებიც კარგად გიცნობენ, შეიძლება პირველადი კაპიტალის ან მოკლევადიანი სესხების კარგი წყაროს როლი შეასრულონ. მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები გაგებით მოეკიდებიან თქვენ წინადადებას, თქვენი ურთიერთობა მათთან მაინც მკაცრად საქმიან ხასიათს უნდა ატარებდეს. აჩვენეთ მათ თქვენი ბიზნეს-გეგმა, არ გაბეროთ თქვენი შესაძლებლობები, გეგმები და მოსალოდნელი შედეგები.

თუ თქვენი ახლობლები მოინდომებენ ფინანსურ დახმარებას, შეადგინეთ წერილობითი ხელშეკრულება. არ გაბრაზდეთ მათზე, თუ უარს გეტყვიან, გადაუხადეთ მადლობა იმისათვის, რომ მოგისმინეს და განაგრძეთ დაფინანსების სხვა წყაროების ძებნა.

2.4 ანგელოზები

როგორც წესი, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ წარმატებული მეწარმეები, სპეციალისტები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან დანაზოგებს და მზად არიან დააბანდონ პერსპექტიულ საქმეში. ძირითადად, მათ ურჩევნიან ისეთ ბიზნესში მონაწილეობა, სადაც კარგად იცნობენ ორგანიზატორს, ან ისეთ პიროვნებას, ვინც თავდებად დაუდგება, ასევე იმ სფეროში, რომელშიც აქვთ გარკვეული გამოცდილება. ასეთ ადამიანებს

ბიზნესის სამყაროში „ანგელოზებს“ (Angel - მდიდარი ადამიანი, რომელიც კაპიტალს დამწყებ საწარმოში აბანდებს) უწოდებენ.

საინვესტიციო ბაზრის აღნიშნულ სეგმენტს მასშტაბებით პირველი ადგილი უჭირავს აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, მეწარმისათვის საკუთარი „ანგელოზის“ პოვნა არც ისე მარტივია. მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ანგელოზები წარმოჩენილია, როგორც სულიერი არსებები, რომელთა აღმოჩენა არც თუ ისე ადვილია. ისინი შეიძლება ჩვენს გარშემო იყვნენ, მაგრამ, როგორც წესი, მათ ვერ ხედავენ. ისინი უბრალო მოკვდავებს ევლინებიან მფარველებად, მეურვეებად, ჭკუის დამრიგებლებად და გზის გამკვლევეებად. ავლენენ ისეთ ღირსებებს, როგორცაა დიდსულოვნება და თავდადება.

ბიზნეს-ანგელოზები კი კერძო ინვესტორები არიან, რომლებიც საკუთარ კაპიტალს სარისკო პროექტებში აბანდებენ, მისი განვითარების ადრეულ, თესვის სტადიაზე, აქტიურად უზიარებენ ცოდნას, გამოცდილებას და სასარგებლო კონტაქტებს.

ყველაზე ხშირად ბიზნეს-ანგელოზები ფიზიკური პირებია, თუმცა, ისინი შეიძლება იურიდიული პირებიც იყვნენ, ძირითადად მცირე ზომის საინვესტიციო ფირმების სახით, რომლებიც საკუთარ კაპიტალს პროექტის თესვის სტადიაზე აბანდებენ.

ბიზნეს-ანგელოზების ინვესტიციებს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

- ✓ ინვესტიციების მოცულობა რამდენიმე ათასიდან მლნ დოლარამდე;
- ✓ ბანკების, სადაზღვევო, საპენსიო და ვენჩურული ფონდებისაგან განსხვავებით საკუთარი და არა მოზიდული კაპიტალის დაბანდება;
- ✓ ინვესტირება უპირატესად თესვის სტადიაზე მყოფ ინოვაციურ პროექტებში;
- ✓ რეციპიენტი საწარმოსათვის ცოდნის, გამოცდილების და სასარგებლო კონტაქტების აქტიური გაზიარება;
- ✓ რეციპიენტი საწარმოს კაპიტალიზაციის დაჩქარებულ ზრდაზე და არა მაღალ დივიდენდზე ორიენტირება. ძირითად შემოსავალს ისინი „გასვლისას“ იღებენ, როდესაც ხდება საწარმოში წილის გაყიდვა;
- ✓ საინვესტიციო რისკების შემცირება ერთდროულად რამდენიმე საწარმოში ფულის დაბანდებით, პროექტების კომპლექსური შესწავლითა და მართავში მონაწილეობით;
- ✓ ფორმალურად დარეგისტრირებული საინვესტიციო ფონდის არ არსებობა;

ამა თუ იმ ფორმით ანგელოზები აქტიურები არიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მართალია, მათ ახასიათებთ გარკვეული ნაკლოვანებები, მაგრამ უპირატესობები გაცილებით მეტია:

- ✓ ფორმალური ინვესტორების მხრიდან უყურადღებოდ დატოვებულ სფეროებში შესვლით ბიზნეს-ანგელოზები ავსებენ სიცარიელეს კაპიტალის ბაზარზე;
- ✓ ბიზნეს-ანგელოზები კაპიტალს ნებისმიერ სფეროში აბანდებენ - კონკრეტული დარგის მიუხედავად მათ იზიდავს ფირმები ზრდის დიდი პოტენციალით;
- ✓ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას ბიზნეს-ანგელოზები ავლენენ დიდ მოთმინებას და მოქნილობას, ვიდრე ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. მათი საინვესტიციო ჰორიზონტები შორეულია (მოთმინების მქონე კაპიტალი), ფულის გაცემის პროცედურები გამარტივებული, ხოლო სარგებლის განაკვეთი მნიშვნელოვნად დაბალი;
- ✓ ბიზნეს-ანგელოზები ასრულებენ კატალიზატორის როლს, რადგან ახლად შექმნილი ფირმა, რომელმაც მიიღო გარკვეული დაფინანსება, უფრო სოლიდურად გამოიყურება ფორმალური ინვესტორების თვალში;
- ✓ საწარმოში დაბანდებული ფულადი სახსრების პარალელურად ბიზნეს-ანგელოზები გამოდიან თავდაბად საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე;
- ✓ ფორმალურ ფინანსურ ბაზრებთან შედარებით, ბიზნეს-ანგელოზების მოქმედების გეოგრაფიული არიალი გაცილებით ფართოა. მათი აღმოჩენა თითქმის ყველგან შეიძლება.

ევროპისა და აშშ-ის საქმიან სამყაროში გავრცელებულია მარტივი ფორმულა:

Business Angel = Heart and Money + Brain

საქართველოში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოყოფენ ბიზნეს-ანგელოზთა შემდეგი ტიპები:

1. მეწარმე „ანგელოზები“ - მოქმედი წარმატებული მეწარმეები, რომლებიც საკუთარი საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციის გზებს ეძებენ. არაფორმალური ინვესტორების ეს

კატეგორია აქტიურობით გამოირჩევა და ყველაზე დიდ თანხებს აბანდებს დამწყებ ფირმებში – როგორც წესი 20000-დან 100000 ლარამდე.

2. პროფესიული ანგელოზები - წარმატებული ექიმები, იურისტები, აუდიტორები. ფულს ძირითადად ნაცნობ საქმეში აბანდებენ და ფირმის მართვაში აქტიურად არ მონაწილეობენ. ხშირად ისინი ერთდროულად რამდენიმე პროექტს აფინანსებენ და თითოეულში 10000-დან 20000 ლარამდე აბანდებენ. უპირატესობას ანიჭებენ ინვესტირებას თანამონაწილეობის პრინციპით.

3. ემიგრანტი ანგელოზები - საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე, მნიშვნელოვანი დანაზოგის მქონე ქართველები. რომლებიც ნათესავების და მეგობრების დასახმარებლად, ასევე პატრიოტული მოტივებით ანხორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რომლის მოცულობა ხშირად 100000 ლარს აღემატება.

შეადგინეთ ამ კატეგორიის ადამიანების სია და შეეცადეთ პირადად დაელეპარაკოთ თითოეულ მათგანს. თუ ეს არის პირი, რომელსაც იცნობთ - მაგალითად, ადამიანი ვისთანაც მუშაობდით, ან ყოფილი ხელმძღვანელი, სთხოვეთ შეხვედრა, რათა გააცნოთ თქვენი იდეა. თუ ასეთ ადამიანს პირადად არ იცნობთ, სთხოვეთ საერთო ნაცნობს დაგაკავშიროთ მასთან.

შეხვედრისათვის კარგად მოემზადეთ. თქვენ ნათლად უნდა აცნობიერებდეთ, თუ რისი მიღწევა გსურთ: რა თანხა გჭირდებათ? რა გსურთ - სესხი თუ პარტნიორი? რა წილის დასათმობათ ხართ მზად? რა პროცენტს გადაიხდით სესხის შემთხვევაში? გახსოვდეთ: „ანგელოზები“ არ ინტერესდებიან ისეთი პროექტით, სადაც ინიციატორს საკუთარი ქონებით გარისკვა არ სურს. ამიტომ, არ გეგონოთ, რომ ინვესტორი მთლიანად დაგიფინანსებთ პროექტს. ამასთან, დააზუსტეთ დაფინანსების გარდა რა დახმარების გაწევა შეუძლია ინვესტორს საწარმოს შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში.

უარის შემთხვევაში თანამოსაუბრეს სთხოვეთ გამოთქვას საკუთარი აზრი თქვენ პროექტთან დაკავშირებით; თუ შესაძლებელია შემოგთავაზოთ მისი დახვეწის გზები; ხომ არ იცნობს ვინმეს, ვინც დაინტერესდებოდა?

2.5 არენდა

არენდა - ქონებით დროებითი სარგებლობა მის მფლობელსა და არენდატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. მისი არსი მდგომარეობს არენდატორისათვის განსაზღვრული ანაზღაურების საფასურად, შეთანხმებული ვადით, რაიმე საქონლით (როგორც წესი - მანქანა-მოწყობილობები) სარგებლობის უფლების გადაცემაში. არენდატორს შეუძლია საქონელი მიიღოს, როგორც არენდის გამცემის საწყობიდან, ასევე ნებისმიერი სხვა მწარმოებლისაგან არენდის გამცემის ხარჯზე.

თანამედროვე ბიზნესში საარენდო ოპერაციების მარვალი ფორმა გამოიყენება. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი:

- ✓ გრძელვადიანი არენდა (სამიდან ხუთ წლამდე ვადით, ზოგჯერ 15-20 წელიც), ეგრედწოდებული ლიზინგი;
- ✓ საშუალო ვადიანი არენდა (ერთიდან ორ-სამ წლამდე ვადით), რომელსაც ჰაირინგს (hiring) უწოდებენ;
- ✓ მოკლევადიანი არენდა (რამდენიმე საათიდან ერთ წლამდე ვადით), უწოდებენ რენტინგს (renting).

საარენდო ოპერაციები საწარმოებს საშუალებას აძლევს მიიღონ საჭირო მანქანა-მოწყობილობები თანხების წინასწარ გადახდის გარეშე და დაცულნი იყვნენ დაჩქარებული მორალური ცვეთისაგან. პირველი შესატანი, როგორც წესი, მოწყობილობების მიღების შემდეგ იხდება, ამიტომ არენდატორს ეძლევა საშუალება მანქანა-მოწყობილობების ექსპლუატაციით ჯერ აწარმოოს პროდუქცია, გაყიდოს და შემდეგ გაუსწორდეს არენდის მიმცემს. შესაბამისად, არენდა დამწყები მეწარმისათვის დაფინანსების მოხერხებულ წყაროს წარმოადგენს, რადგან ძირითადი საშუალებების ამ გზით მიღება გამოანთავისუფლებს სხვა ხარჯების გასაწევად საჭირო მნიშვნელოვანი რაოდენობის ფინანსურ რესურსებს.

არენდის ზემოთ აღნიშნული ფორმებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ლიზინგი. ტრადიციული არენდისაგან განსხვავებით სალიზინგო ოპერაციაში მინიმუმ სამი მხარე მონაწილეობს: ლიზინგის გამცემი (ლიზინგის საგნის მესაკუთრე), ლიზინგის მიმღები (საწარმო, რომელიც დაინტერესებულია მანქანა-მოწყობილობების გამოყენებით, შესაძლებელია, მისი

შემდგომი შექმნიდაც) და გამყიდველი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ლიზინგის საგნის მწარმოებელია.

სალიზინგო ხელშეკრულების პირობებით განისაზღვრება საარენდო გადასახდელების გადახდის წესი, რომელიც ძირითადად მოიცავს საპროცენტო განაკვეთს და მანქანა-მოწყობილობების ამორტიზაციას. კონტრაქტის მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ ლიზინგის მიმღებმა შეიძლება: გამცემს დაუბრუნოს ლიზინგის საგანი; გააფორმოს ახალი კონტრაქტი ლიზინგის შესახებ; გამოისყიდოს ლიზინგის საგანი ნარჩენი ღირებულებით.

ლიზინგი საინვესტიციო საქმიანობის შედარებით ახალი ფორმაა. მიიჩნევა, რომ პირველი სალიზინგო გარიგებები 1877 წელს განხორციელდა ამერიკული Bell telephon Company-ს მიერ, რომელმაც ტელეფონების არენდით გაცემა დაიწყო. ეს იყო ერთგვარი მარკეტინგული სვლა და ლიზინგი საწარმოს გასაღების პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. სალიზინგო ოპერაციების განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია სალიზინგო ფირმების შექმნასთან, რომელთათვისაც ლიზინგი არის არა მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილი, არამედ ძირითადი საქმიანობა. ამ ტიპის პირველი საწარმო United States Leasing Corporation შეიქმნა 1952 წელს აშშ-ში. ევროპაში პირველი სალიზინგო ფირმა გამოჩნდა 1962 წელს გერმანული Deutsche Leasing GMBH-ის სახით.

სალიზინგო ოპერაციების თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლიზინგის საგნის გამცემის როლში შეიძლება მოგვევლინოს:


სპეციალიზებული სალიზინგო ფირმები;

ბანკები;

მანქანა-მოწყობილობების მწარმოებელი საწარმოების მიერ შექმნილი სალიზინგო ფირმები;

მანქანა-მოწყობილობების მიმწოდებელი და მომსახურე საწარმოების მიერ შექმნილი სალიზინგო ფირმები.

სალიზინგო ოპერაციების მასშტაბების ზრდამ ამ პროცესში საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციების ჩართვა მოითხოვა. ამგვარად, თანამედროვე ლიზინგური ოპერაციის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:



სქემიდან ჩანს, რომ ლიზინგის ხარჯებში აუცილებელია აისახოს:

- ✓ ლიზინგის საგნის საფასური;
- ✓ ლიზინგის გამცემის ხარჯები, დაკავშირებული ფინანსური რესურსების მოზიდვასთან;
- ✓ ლიზინგის გამცემის მოგება;
- ✓ ლიზინგის გამცემის სხვა დანახარჯები;
- ✓ დაზღვევის თანხა.

საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ განსაზღვრავს ლიზინგის შემდეგ სახეებს:

ა) პირდაპირი ლიზინგი, როდესაც გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი;

ბ) კომერციული ლიზინგი, როდესაც მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით (საქონელი, სამუშაო, მომსახურება);

გ) სერვისული ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწვეული პირის მეშვეობით ლიზინგის საგნის მართვას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ.

დ) სუფთა ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას.

2.6 კომერციული ბანკები და სპეციალური სახელმწიფო პროგრამები

თანამედროვე პირობებში ბანკები ბიზნესს უზრუნველყოფენ სხვადასხვა მომსახურებით:

- ხსნიან ვადიან, დაგროვებად და დახარჯვად დეპოზიტებს;
- გასცემენ სხვადასხვა სახის კრედიტებს;
- აწარმოებენ საანგარიშსწორებო ოპერაციებს;
- აწარმოებენ ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებს;
- ქირით (არენდით) გასცემენ ფასეულობების შესანახ სეიფებს, სხვადასხვა საბანკო მოწყობილობებს, დანადგარებს, მანქანებს;
- აწარმოებენ სავალუტო ოპერაციებს;
- უშვებენ და ავრცელებენ პლასტიკურ ბარათებს;
- გამოდიან თავდებად ადგილობრივი და უცხოელი კონტრაგენტების წინაშე;
- ანხორციელებენ საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ.

რაოდენ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს კომერციული ბანკების ოპერაციები, ბიზნესის დაფინანსების თვალსაზრისით უმთავრესს მაინც წარმოადგენს - დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება და მისი განთავსება სხვადასხვა სახის ბიზნესში დაბრუნებადობის, ვადიანობის, მიზნობრიობისა და სარგებლის გადახდის პრინციპით.

ბანკი ყველაზე არ გასცემს კრედიტს. ის უნდა დარწმუნდეს, რომ სესხის ამღები უსათუოდ და დათქმულ ვადაში გაისტუმრებს ვალს. ამასთან, ბანკმა უნდა იცოდეს რისთვის, რა მიზნით გაიცა სესხი და მან ამ ოპერაციიდან გარკვეული მოგება უნდა ნახოს. აქ ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ როდესაც ბანკი მეანაბრეთა თავისუფალ თანხებს უკეთებს მობილიზებას, თვითონაც უხდის მათ გარკვეულ პროცენტს. სამაგიეროდ, როდესაც ის კრედიტს გასცემს, პროცენტის სახით თავადაც ღებულობს ამ სესხის ერთგვარ საფასურს - სარგებელს. სხვაობა მიღებულ და გაცემულ პროცენტებს შორის წარმოადგენს საბანკო მარჟას, რის საფუძველზეც ფორმირდება ბანკის მოგება.

სამწუხაროდ ბიზნესის დასაწყებად ბანკებში სესხის მიღება თითქმის შეუძლებელია. ისინი კრედიტის გაცემისას ხელმძღვანელობენ მკაცრი წესებით, რომელსაც 5C -ს უწოდებენ (Character - რეპუტაცია, Capacity - საწარმოო სიმძლავრეები, Capital - კაპიტალი, Collateral - თავდებადობა და Conditions - პირობები). საბაზრო საქმიანობის გამოცდილების არმქონე საწარმო, გაყიდვების სავარაუდო მაჩვენებლებით, მინიმუმ ორ მათგანს ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ, ბანკებს ურჩევნიათ სესხი მისცენ მსხვილ და გამოცდილ ფირმებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს გარკვეული პოზიცია ბაზარზე და შესწევთ უნარი შესთავაზონ ვალის დაფარვის მყარი გარანტიები.

გამონაკლის შემთხვევებში კომერციული ბანკი შეიძლება დაკმაყოფილდეს მეწარმის პირადი გამოცდილებით და ფინანსური მდგომარეობით. აღნიშნულის გარდა, ბანკები ხშირად აფინანსებენ სამთავრობო პროგრამებში მონაწილე დამწყებ ბიზნესებს. მაგალითად: აშშ-ში მოქმედებს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია SBA, რომელიც დამწყები საწარმოების დაკრედიტებისას გარანტორის როლში გამოდის. ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევაში SBA ფარავს სესხის 90%, დანარჩენ 10% კი ბანკი მოვალესაგან ამოიღებს. ბუნებრივია, ასეთი პროგრამის არსებობა ბანკებს სტიმულს აძლევს ითანამშრომლონ დამწყებ მეწარმეებთან. თუმცა, თუ დაფინანსების მოპოვებას მსგავს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობით გადაწყვიტავთ, უნდა აღიჭურვოთ დიდი მოთმინებით და მზად იყოთ გადალახოთ უამრავი ბიუროკრატიული ბარიერი.

2.7 მიმწოდებლები და მომხმარებლები

კომერციული ბანკების სესხებისაგან მკვეთრად განსხვავდება ეგრედწოდებული კომერციული კრედიტი. ამ დროს კრედიტორის როლში გამოდის არა ბანკი, არამედ მიმწოდებელი. მის მიერ მიწოდებული პროდუქციის საფასურის ანაზღაურება კი განვადებით ხდება. სხვანაირად თუ

ვიტყვი, კომერციული კრედიტი იგივეა, რაც საქონლის ყიდვა განვადებით. შესაბამისად, ბიზნესის საწყის სტადიაზე ასეთი სესხები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. მაგალითად, თუ თქვენ გჭირდებათ ნედლეული და მასალები, მიმართეთ გამყიდველს და შეეცადეთ დაითანხმოთ განვადებაზე. ეს გამოგინთავისუფლებთ ფინანსურ რესურსებს. ხშირად ისე ხდება, რომ მიმწოდებლები ხდებიან თქვენი ძირითადი დამფინანსებლები, ამიტომ ეცადეთ, რომ მათთან კარგი ურთიერთობა იქონიოთ და დროულად გაისტუმროთ ანგარიშები.

მომხმარებლები ასევე შეიძლება მოგვევლინონ დაფინანსების წყაროდ. როგორც წესი, მათი დარწმუნება უფრო რთულია, თუმცა, ცდა მაინც შეიძლება. ვთქვათ თქვენ აპირებთ ტყავის ნაკეთობების წარმოებას და გაყიდვას, მაგალითად, ქალის ჩანთები ან ფეხსაცმელი. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ, თუ რა თანხა გჭირდებათ წარმოების დასაწყებად და რა ფასად გაყიდით საქონელს, შეეცადეთ იპოვოთ ისეთი მომხმარებლები, რომლებიც წინასწარ მოგცემენ შეკვეთას და გადაიხდიან კიდევ. მაგ., თუ ყიდით 20 ჩანთას 20 ლარად თითოს, თქვენ მიიღებთ 400 ლარს. თუ ერთი ჩანთის დამზადებაზე პირდაპირი ხარჯები 10 ლარია, სხვა ხარჯებისათვის თქვენ 200 ლარი დაგრჩებათ.

3. ბიზნესის განვითარების დაფინანსება

საბაზრო საქმიანობის თავისებურებებში ღრმად ჩახედულ, კარგი რეპუტაციის მქონე საწარომს ბაზრების გაფართოების და ათვისების, ახალი პროდუქტების შექმნის დაფინანსების უკეთესი პირობები ექმნებათ. ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის ამ სტადიაზე უკვე განხილულ დაფინანსების წყაროებს ემატება:

- ✓ საბანკო კრედიტები;
- ✓ საფონდო ბაზარზე გასვლა;
- ✓ სტრატეგიული ალიანსები;
- ✓ საწარმოთა შერწყმა.

3.1 საბანკო კრედიტები

როდესაც ბიზნესის ფინანსური საჭიროებები იზრდება, ის მიმართავს ბანკს კრედიტის მოთხოვნით. უარყოფითმა პასუხმა კი საწარმო შეიძლება აიძულოს უარი თქვას მომგებიან გარიგებაზე. მოკლედ განვიხილოთ საბანკო კრედიტების ძირითადი თავისებურებები.

დაფარვის ვადა

ბანკები ბიზნესს სთავაზობენ მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გაცემული კრედიტების 2/3-ის დაფარვის ვადა ერთი წელი და უფრო ნაკლებია. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ქვეყნებში განსაკუთრებით პოპულარულია 90 დღიანი კრედიტები ვადის გაგრძელების საშუალებით, თუმცა, ბანკმა შეიძლება აღარც მოისურვოს ამის გაკეთება.

თუ ბიზნესი ზედმეტად არის დამოკიდებული მოკლევადიან სესხებზე, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ის ვეღარ შეძლებს ვალის დათქმულ ვადაში გასტუმრებას, ხოლო თუ ბანკი არ დათანხმდა ვადების გაგრძელებას, გაკოტრებაც გარდაუვალი იქნება. ამასთან, საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიან სესხებზე ხშირად და ნახტომისებურად იცვლება. შესაბამისად მოკლევადიანი კრედიტებით სარგებლობა უფრო სარისკოდ მიიჩნევა, ვიდრე გრძელვადიანით. მიუხედავად ამისა, მოკლევადიან კრედიტებს გარკვეული უპირატესობებიც გააჩნია:

➤ სწრაფად მიღების შესაძლებლობა. მოკლევადიანი კრედიტის მიღება საწარმოს გაცილებით სწრაფად შეუძლია, ვიდრე გრძელვადიანისა. საქმე ისაა, რომ გრძელვადიანი კრედიტის გაცემისას ბანკი ცდილობს დეტალურად შეისწავლოს მიმღების ფინანსური მდგომარეობა და საკრედიტო ხელშეკრულებაში ასახოს ყველა ის ნიუანსი, რაც შეიძლება 10 ან 20 წლის განმავლობაში მოხდეს. ამიტომ, როდესაც ბიზნესს ფულადი სახსრები სასწრაფოდ ესაჭიროება, ამჯობინებენ მოკლევადიანი კრედიტის აღებას.

➤ მოქნილობა. თუ ბიზნესის ფინანსური საჭიროებები სეზონური ან ციკლურია, მაშინ მოკლევადიანი კრედიტი ხელსაყრელია შემდეგი მიზეზების გამო:

➤ დანახარჯები დაკავშირებული გრძელვადიანი კრედიტის მიღებასთან მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მოკლევადიანისა;

➤ გრძელვადიანი საკრედიტო ხელშეკრულებებზე, როგორც წესი, უფრო მეტ საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს, ვიდრე მოკლევადიანი. ამიტომ, თუ საწარმოში ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ფინანსური საჭიროებები შემცირდება, უმჯობესია მოკლევადიანი სესხის აღება;

➤ გრძელვადიანი საკრედიტო ხელშეკრულება ხშირად შეიცავს პუნქტებს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს საწარმოს მომავალი საქმიანობის თავისუფლებას. მოკლევადიანი საკრედიტო ხელშეკრულება ამ მხრივ შედარებით მსუბუქია.

➤ შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი. სესხის დაფარვის ვადის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, იზრდება განუსაზღვრელობის ფაქტორი, ამიტომ პროცენტები მოკლევადიან კრედიტებზე უფრო დაბალია, ვიდრე გრძელვადიანზე. შესაბამისად, თუ ჩვეულებრივი პირობებით ავიღებთ მოკლევადიან სესხს, ეს უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე გრძელვადიანი საბანკო კრედიტი.

საპროცენტო განაკვეთი

დანახარჯები საბანკო კრედიტის მიღებაზე შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა მსესხებლისათვის ერთიდაიგივე მომენტში და ერთიდაიგივე მსესხებლისათვის სხვადასხვა დროს. საპროცენტო განაკვეთები იზრდება კრედიტის რისკიანობასთან ერთად, ასევე, ის უფრო მაღალია მცირე მოცულობის სესხებზე. უკანასკნელი განპირობებულია კრედიტის გაცემასა და მომსახურებასთან დაკავშირებული მუდმივი დანახარჯების არსებობით.

თუ ბიზნესი დიდი მასშტაბისაა და კარგი რეპუტაცია გააჩნია, მაშინ მას კრედიტის მიღება შეუძლია Prime Rete-ის პირობებით (ეს არის საპროცენტო განაკვეთი პირველი კლასის მსესხებლისათვის), რაც ტრადიციულად მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს გულისხმობს. ბანკები Prime Rete-ს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავენ, თუმცა, კონკურენციის ზემოქმედებით ეს განაკვეთი თითქმის ერთნაირია ყველა ბანკში. მისი განსაზღვრისას ბანკები ორიენტაციას იღებენ ნიუ-იორკის წამყვან ბანკებზე, რომლებიც თავის მხრივ მსოფლიოში უდიდეს ფინანსურ ჯგუფის Citibank-ის პოლიტიკას იზიარებენ. უკანასკნელი Prime Rete-ს ყოველკვირეულად 1,25 - 1,5 საპროცენტო პუნქტით მაღლა განსაზღვრავს, ვიდრე ესაა საშუალო საპროცენტო განაკვეთი უმსხვილეს სადეპოზიტო სერთიფიკატებზე უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში. საპროცენტო განაკვეთი სადეპოზიტო სერთიფიკატებზე კი თავის მხრივ არის კრედიტის ფასი ღია ბაზარზე, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით განისაზღვრება. ამგვარად Prime Rete-ი განიცდის სასესხო კაპიტალის ბაზრის კონიუნქტურის პირდაპირ ზემოქმედებას.

საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად მერყეობს დროში ეკონომიკური მდგომარეობის და სახელწიფო პოლიტიკის ზემოქმედებით. როდესაც ეკონომიკა დეპრესიაშია, კრედიტებზე მოთხოვნა დაბალია, მდგომარეობის გამოსასწორებლად ცენტრალური ბანკი ზრდის ფულის მიწოდებას, რაც ბუნებრივია, ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. პირიქით, როდესაც ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, კრედიტებზე მოთხოვნა იზრდება, ცენტრალური ბანკი ცდილობს შეზღუდოს ფულის მიწოდება, შედეგად კი იზრდება საპროცენტო განაკვეთები.

გაფორმება და უზრუნველყოფა

საკრედიტო შეთანხმება ფორმდება მარტივი თამასუქის ხელმოწერით (promiss note), სადაც ნაჩვენებია სესხის თანხა, საპროცენტო განაკვეთი, დაბრუნების პირობები (ერთიანად უნდა დაბრუნდეს სესხი, თუ ნაწილნაწილ, რა ვადებში), კრედიტის უზრუნველყოფა გირაოთი და სხვა პირობები. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ბანკი თანხას რიცხავს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე.

თამასუქი უდავო დოკუმენტია. მის გამცემ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს უფლება არა აქვს თავი აარიდოს აქ ნაჩვენები თანხის დათქმული პირობებით გადახდას. თუ რაიმე მიზეზით დროზე ვერ გაისტუმრა ვალი, მას იძულების წესით ჩამოართმევენ შესაბამისი ღირებულების ქონებას და მისი რეალიზაციით დაფარავენ თამასუქში ნაჩვენებ თანხას.

ბანკი ყოველთვის არაა დარწმუნებული კლიენტის საიმედოობაში. ამიტომ კრედიტის გაცემისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი უზრუნველყოფის საკითხი. კრედიტის უზრუნველყოფაში იგულისხმება ის ფასეულობა, რომელსაც კრედიტორი იყენებს მსესხებლისაგან ვალისა და პროცენტების სრული და დროული დაბრუნების საშუალებად. საწარმოები, რომელთა გადახდისუნარიანობა მიჩნეულია არადაამაკმაყოფილებლად, უწევთ იზრუნონ სესხის

უზრუნველყოფაზე, თუ კრედიტის მიღება მხოლოდ მისი უზრუნველყოფის გზითაა შესაძლებელი, ან კრედიტის უზრუნველყოფას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს საპროცენტო განაკვეთი.

კრედიტის უზრუნველყოფის ძირითადი სახეებია:

- ✓ თავდებობა;
- ✓ გარანტია;
- ✓ მსესხებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ✓ გირაო.

თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი (ბანკი, საწარმო, ასოციაცია და ა.შ). საგარანტიო ვალდებულებით ბანკს ეძლევა უფლება საკუთარი განკარგულებით უდავო წესით დაფაროს მსესხებელზე გაცემული თანხა გარანტი ორგანიზაციიდან თანხის ჩამოწერით. ხელშეკრულების თანახმად თავდები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ამასთან, მსესხებელი და თავდები კრედიტორის წინაშე გამოდიან, როგორც სოლიდარული მოვალეები.

გარანტია თავდებობის განსაკუთრებული სახეა და გამოიყენება მხოლოდ იურიდიულ პირებს შორის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. გარანტის ვალდებულება ატარებს სუბსიდიარობის ხასიათს. გარანტისადმი წაყენებული ერთადერთი მოთხოვნაა მისი ფინანსური მდგომარეობის სიმყარე.

კრედიტის გადაუხდელობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო კომპანიასთან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებას. ამ ხელშეკრულების ვადა უნდა ემთხვეოდეს საკრედიტო ხელშეკრულების ვადას. დადგენილ ვადაში ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში დამზღვევი კრედიტის გამცემ ბანკს უხდის სესხის 50-90%-ს, მათ შორის პროცენტებს კრედიტით სარგებლობაზე.

გირაო, როგორც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ხერხი, რეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. იგი ორი სახისაა:

- გირაო, რომელიც ითვალისწინებს დამგირავებელთან დაგირავებული ქონების დატოვებას;
- გირაო, რომელიც ითვალისწინებს მოგირავნეზე დაგირავებული ქონების გადაცემას.

ბიზნესისათვის, ბუნებრივია, უფრო ხელსაყრელია პირველი სახის გირაო, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაგირავებული ქონებით სარგებლობა.

გირაოს სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციები, ობლიგაციები, მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-მოწყობილობები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, დებეტორული დავალიანება (საწარმოსადმი მომხმარებლების ან შუამავლის დავალიანება, რომელიც ძირითადად წარმოიქმნება საქონლის ან მომსახურების განვადებით გაყიდვისას). მიწა და შენობა-ნაგებობები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება გრძელვადიანი კრედიტების უზრუნველყოფის დროს, სასაქონლო-მატერიალური მარაგები და დებეტორული დავალიანება კი - მოკლევადიანისას.

დებეტორული დავალიანების გირაოდ გამოყენებისას ის არა მხოლოდ მთლიანად გადადის ბანკის განკარგულებაში, არამედ ვალის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუძლია პრეტენზია წაუყენოს მიმწოდებელსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დებეტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებულ რისკებს კვლავ მოვალე ეწევა. ამ რისკის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა ფაქტორინგი, ანუ დებეტორული დავალიანების მიყიდვა მესამე პირისათვის (როგორც წესი, ფაქტორინგული ფირმის და ბანკისათვის). ამ დროს დებეტორებს აფრთხილებენ მათი დავალიანების სხვა პირის განკარგულებაში გადასვლის შესახებ. ბუნებრივია, ასეთი გარიგების დადებად ბანკების სპეციალური განყოფილებები დაწვრილებით სწავლობენ დებეტორის ფინანსურ მდგომარეობას.

კომერციული ბანკის შერჩევა

სესხის პირობების მიღმა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ბიზნესის დაფინანსების ისეთი მნიშვნელოვანი წყაროს განხილვისას, როგორცაა საბანკო კრედიტები. პოტენციურმა მსესხებელმა ასევე უნდა იცოდეს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება თვით ბანკებს შორის, ანუ ერთი საწარმოსათვის განსაკუთრებით მიმზიდველი ბანკი შეიძლება მეორესათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს. განვიხილოთ პარტნიორი ბანკის შერჩევისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი ფაქტორი.

რისკისათვის მზადყოფნა. რისკის ფაქტორის ზემოქმედებით ბანკები ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოლიტიკას მისდევენ. ზოგიერთი სესხების გაცემისას ირჩევს კონსერვატიულ მიდგომას, სხვები კი პირიქით იქცევიან. სტრატეგიის შერჩევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის სადეპოზიტო ვალდებულებები და პერსონალის შტატი. მერყევი სადეპოზიტო ვალდებულებებისა და დიდი მუდმივი შტატის მქონე ბანკი კონსერვატიული მიდგომისაკენ იხრება, მაშინ, როდესაც მზარდი დეპოზიტებისა და მცირე მუდმივი შტატის მქონე ბანკს შეუძლია უფრო მეტად ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა განახორციელოს. ფართოდ დივერსიფიცირებული საქმიანობის მქონე ბანკები ასევე ხშირად მისდევენ ლიბერალულ პოლიტიკას, რადგან მრავალფეროვანი საქმიანობით აერთიანებენ და ასაშუალებენ რისკებს და მოგებას, რომელიც შეიძლება საქმიანობის ცალკეულ მიმართულებას ახასიათებდეს.

საკონსულტაციო მომსახურება. ბანკის სტრატეგია ითვალისწინებს კლიენტებთან კავშირების დამყარებას და განვითარებას. ზოგიერთ ბანკს ამისათვის გააჩნია სპეციალური საკონსულტაციო განყოფილებები. საქმე ისაა, რომ ბანკებში თავს იყრის მრავალი მეწარმის საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, რომლის კლიენტებისათვის გაზიარება მნიშვნელოვანი პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

ლოიალურობა. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ პოზიციას იკავებს ბანკი, როდესაც მისი კლიენტი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც პირდაპირ მიუთითებს მის ლოიალურობაზე. ერთ შემთხვევაში ბანკმა შეიძლება გააძლიეროს ზეწოლა კლიენტზე და მკაცრად მოსთხოვოს ვალის დაბრუნება, სხვა შემთხვევაში კი პირიქით, ვალის გადავადებითა და ახალი სესხის მიცემით დაეხმაროს სირთულეების დაძლევაში.

სპეციალიზაცია. ბანკები შეიძლება სპეციალიზდებოდნენ სხვადასხვა დარგების (მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, სოფლის მეურნეობა და სხვა) დაკრედიტებაზე. ბუნებრივია, საწარმომ ეფექტიანი თანამშრომლობისათვის სწორედ ისეთი ბანკი უნდა შეარჩიოს, რომლის სპეციალიზაცია შეესაბამება მისი საქმიანობის პროფილს, რადგან მოცემულ შემთხვევაში ბანკს გააჩნია დიდი ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც შეიძლება კლიენტს გაუზიაროს.

მასშტაბი. ბანკის მასშტაბი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რადგან მაქსიმალური კრედიტის მოცულობა, რომლის გაცემაც ბანკს შეუძლია, მის მასშტაბზეა დამოკიდებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვილი საწარმოებისათვის საქმიანი ურთიერთობების დაჭერა მცირე ბანკებთან არასასურველია.

დამატებითი მომსახურება. ასევე მნიშვნელოვანია ის დამატებითი მომსახურება, რომელიც შეიძლება კონკრეტულმა ბანკმა შესთავაზოს კლიენტს.

3.2 საფონდო ბაზარზე გასვლა

3.2.1 საფონდო ბაზარზე გასვლის თავისებურებები

მზარდი ბიზნესისათვის არაფერია ისეთი საინტერესო და ეფექტიანი, როგორც საფონდო (ფასიანი ქაღალდების) ბაზარზე გასვლა. ამ დროს ფინანსური რესურსების მოზიდვასთან ერთად იზრდება საწარმოს პრესტიჟი და იცვლება როგორც კრედიტორების, ისე მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულება. ფინანსური მდგომარეობის და საბაზრო პოზიციის გაუმჯობესება, მნიშვნელოვნად ამარტივებს კრედიტების მიღების შესაძლებლობას.

საფონდო ბაზარი იყოფა პირველად და მეორეად. პირველადი ბაზარზე ხდება ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვა. შესაბამისად ამ დროს მიღებული შემოსავალი საწარმოში იყრის თავს. მეორედ ბაზარზე კი მიმოიქცევა ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები. მართალია, ამ ბაზარზე საწარმოები ფინანსურ რესურსებს არ იღებენ, მაგრამ, სამაგიეროდ ინვესტორებს ეძლევათ ადრე ნაყიდი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შესაძლებლობა, რაც მათ ლიკვიდურობას უზრუნველყოფს და ამით ხელს უწყობს პირველადი ბაზრის ფუნქციონირებას.

ასევე განასხვავებენ საბირჟო და არასაბირჟო საფონდო ბაზრებს. საბირჟო ბაზრები ცნობილია საფონდო ბირჟების სახელწოდებით. საფონდო ბირჟა სისტემატურად და რეგულარულად მოქმედი, სათანადოდ აღჭურვილი დაწესებულებაა (ადგილია), სადაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები. ამ ბაზარზე მიმოიქცევა მხოლოდ ის ფასიანი ქაღალდები, რომლებმაც გაიარეს ლისტინგი, ანუ დაშვებულნი არიან ბირჟაზე ვაჭრობისათვის. ფასიანი ქაღალდების ნაწილი

მიმოიქცევა ბირჟის გარეთ ანუ არასაბირჟო ბაზარზე, რომელიც მოქმედებს ტელეფონის, ტელექსის, კომპიუტერული ქსელების მეშვეობით.

საფონდო ბაზარზე ძირითადად მიმოიქცევა აქციები და ობლიგაციები, რომელთა ემისიის უფლება მხოლოდ სააქციო საზოგადოებას გააჩნია. შესაბამისად, საფონდო ბაზარზე გასვლამდე აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ნაკლოვანებები, რაც თვით ამ პროცესს და საწარმოს ახალ სტატუსს შეიძლება ახლდეს.

- ✓ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გასვლა ხარჯიანი პროცესია (ფინანსური კონსულტანტების, იურისტების, ბუღალტრების, შუამავლების, აუდიტორების ანაზღაურება, გადასახდელები საინვესტიციო ბანკებისათვის, სახელმწიფო ბაჟი და სხვა). მაგალითად, აშშ-ში ეს დანახარჯები სადაზღვევო კომპანიებისათვის გადასახდელი საკომისიოს გარეშე დაახლოებით 300 ათას დოლარს შეადგენს;
- ✓ საწარმოს გარდაქმნა ღია სააქციო საზოგადოებად მნიშვნელოვან დროს და ძალისხმევას საჭიროებს. თქვენ მოგიწევთ საწარმოს მატერიალური მომზადება, იმ გუნდის შეკრება, რომელიც აქციონერების პროცესით დაკავდება, უკანასკნელი წლების ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარება და მრავალი სხვა ფორმალობის მოგვარება;
- ✓ როდესაც ბიზნესი ჩამოყალიბდება ღია სააქციო საზოგადოების სახით, თქვენი საქმიანობა, ფინანსური მდგომარეობის ჩათვლით, ცნობილი გახდება ფართო საზოგადოებისათვის;
- ✓ თქვენ დაგაწვებათ დამატებითი პასუხისმგებლობა აქციონერების, ობლიგაციონერების, თანამშრომლების, მარეგულირებელი ორგანოების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ;
- ✓ თქვენი ბიზნესის ბედი დამოკიდებული იქნება დირექტორებზე, სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებზე;
- ✓ აქციონერებისათვის დამახასიათებელია მოკლევადიან მიზნებზე ორიენტაცია, რაც ხშირად ეწინააღმდეგება საწარმოს სტრატეგიულ ინტერესებს;
- ✓ ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ წამოყენებული მოთხოვნების (სხვადასხვა სახის ანგარიშგების მომზადება) შესასრულებლად საწარმო იძულებულია დამატებით დაიქირაოს თანამშრომლები, რომლებიც მთლიანად ამ საქმიანობით იქნებიან დაკავებულნი;
- ✓ ფასიანი ქაღალდების ბრუნვაში ჩაშვების შემდეგ აუცილებელია მათი კურსის შენარჩუნებაზე ზრუნვა, რადგან კურსის დაცემა უარყოფითად აისახება საწარმოს იმიჯზე, ამასთან, აქციების კურსის მნიშვნელოვან ვარდნას შეიძლება მისი შთანთქმაც მოჰყვეს. კურსის შენარჩუნების საშუალებების გამოყენება (დივიდენდების პოლიტიკა, რეკლამა, საკუთარი ფასიანი ქაღალდების შესყიდვა) კი ბუნებრივია, რთული და ძვირადღირებული პროცესია.

ბიზნესის დაფინანსების თვალსაზრისით საფონდო ბაზარზე გასვლის მექანიზმში გარკვევისათვის აუცილებელია დაწვირილებით განვიხილოთ ის ძირითადი ფასიანი ქარაღდები, რომელიც საფონდო ბაზარზე მიმოიქცევა.

3.2.2. აქციები

აქცია (Stock) საქარმოს საკუთარ კაპიტალში მისი მფლობელის მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდია. აქციის შექმნის შემთხვევაში იურიდიული ან ფიზიკური პირი ხდება სააქციო საზოგადოების წილობრივი მონაწილე, ღებულობს მის მართვაში მონაწილეობას და ვარაუდობს შემოსავლის მიღებას დივიდენდის სახით. დივიდენდი გასანაწილებელი მოგებიდან აქციაზე გასაცემი თანხაა.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერთიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან, ანდა კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი. აქციის სერთიფიკატი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ აქციის ფლობას. აქციათა სერთიფიკატზე აღნიშნულია:

მონაცემები ემიტენტის შესახებ;

მონაცემები რეგისტრირებული მფლობელის შესახებ;

აქციის ნომინალური ღირებულება (აუცილებელი არ არის);
აქციის ტიპი (ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული);
აქციების რაოდენობა, რომელსაც ფლობს სერთიფიკატის მესაკუთრე;
აგენტის დასახელება, ვისი მეშვეობითაც მოხდა აქციის რეგისტრაცია;
სააქციო საზოგადოების უფლებამოსილი პირის ხელის მოწერა.

როგორც წესი, სააქციო საზოგადოებები აქციების გამოშვების უფლებას სრულად არ იყენებენ. ამასთან დაკავშირებით, გამოსაშვებად ნებადართული აქციები იყოფა გამოშვებულ აქციებად და გამოსაშვებ აქციებად. ეს უკანასკნელი წამოადგენს რეზერვს, რომელიც საწარმოებმა შეიძლება გაფართოებისათვის გამოიყენონ.

თავის მხრივ, გამოშვებული აქციები იყოფა მფლობელთა ხელთ არსებულ აქციებად და ემიტენტის მიერ გამოსყიდულ აქციებად. ფირმებს შეუძლიათ გამოისყიდონ საკუთარი გამოშვების აქციები. გამოსყიდულ აქციებზე არ ვრცელდება ხმის, დივიდენდის მიღების, აქციების უპირატესი შესყიდვის და ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების განაწილების უფლება. საკუთარი აქციების გამოსყიდვა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით განხორციელდეს:

- ერთ აქციაზე გადაანგარიშებით მოგებისა და სხვა მაჩვენებლების გაზრდა (გამოშვებული აქციების შემცირებით);
- სხვა ფირმის მიერ შთანთქმის თავიდან აცილება;
- აქციების კურსის ვარდნის თავიდან აცილება.

აქციონერთა ძირითადი უფლებები

აქციათა უმრავლესობა მათ მფლობელებს აძლევს აქციონერთა კრებაზე დასწრების და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ხმის მიცემის უფლებას. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე. აქციონერს უფლება აქვს საერთო დღის წესრიგის თითოეული პუნქტზე გამოთქვას თავისი აზრი და მოითხოვოს განმარტებები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილონ დღისწესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილებას სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ იღებს სასამართლო. ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ რიგგარეშე კრების ჩატარება საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. თუ დირექტორები კრებას მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

აქცია მის მფლობელს აძლევს მოგების ნაწილის მიღების უფლებას დივიდენდის სახით. დივიდენდები ნაწილდება აქციონერთა შორის მათი აქციების ნომინალური ღირებულების პროპორციულად. დივიდენდები შეიძლება გადახდილ იქნეს ფულის, ქონების ან თვით ამ საწარმოს აქციების სახით. ფულად დივიდენდებს ადგენენ ლარებში ერთ აქციაზე (მაგალითად, 2 ლარი და 50 თეთრი ერთ აქციაზე). დივიდენდები ქონების სახით შეიძლება იყოს საკუთარი პროდუქცია ან შვილობილი საწარმოების აქციები. დივიდენდებს აქციების სახით უჩვენებენ პროცენტებში. მაგალითად, თუ სააქციო საზოგადოება აცხადებს 5%-იან დივიდენდს აქციების სახით, ეს ნიშნავს, რომ 100 აქციის მფლობელი მიიღებს 5 ახალ აქციას.

დივიდენდები აქციის სახით შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა ოდენობით: 5, 10, 20 პროცენტი და ა.შ. მაგრამ თუ აქციების რაოდენობის ზრდა გადააჭარბებს 25%, მაშინ ადგილი აქვს აქციების დანაწევრებას. აქციების დანაწევრება - ეს არის აქციების რაოდენობის გაზრდა არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის შესაბამისი პროპორციით მცირდება აქციის ნომინალური ღირებულება. ამიტომ აქციის დანაწევრების ოპერაცია არ იწვევს საწესდებო კაპიტალის შეცვლას.

აქციების დანაწევრების საპირისპირო ოპერაციაა კონსოლიდაცია. ეს გულისხმობს აქციების საერთო რაოდენობის შემცირებას არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის

შესაბამისი პროპორციით იზრდება აქციების ნომინალური ღირებულება. აქციების დანაწევრების მსგავსად კონსოლიდაცია არ იწვევს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლას.

აქციონერებს უფლება აქვთ შეიძინონ ახალი გამოშვების აქციები უფრო ადრე, ვიდრე შესთავაზებენ სხვა პირებს (ახალი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება). ასეთი უპირატესი უფლების მიზანია აქციონერთა დაცვა საწარმოში მათი წილის განზავებისაგან. აქციონერთა ამ უფლებებს გარკვეული ღირებულებაც აქვს. როგორც წესი, ახალი გამოშვების ხელმოწერის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე უკვე გამოშვებული და გავრცელებული აქციებისა. ამის შედეგად აქციონერთა უპირატესი უფლებები შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი.

აქციონერს გააჩნია გარკვეული უფლებები საწარმოს ლიკვიდაციის დროს. ლიკვიდაცია არის კონკრეტული მოქმედებები სააქციო საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტისათვის და ქონების რეალიზაციისათვის (კრედიტორებთან ანგარიშსწორება, დარჩენილი ქონების განაწილება აქციონერებს შორის და ა.შ.). ლიკვიდაციისას ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზია საწარმოს აქტივების წილზე მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დარეგულირდება ურთიერთობები კრედიტორებთან, დაიფარება ყველა სხვა ვალდებულებები და დაკმაყოფილდება პრივილეგირებული აქციების მფლობელთა ინტერესები.

აქციის ფასი

აქციისათვის დამახასიათებელია ნომინალური, საემისიო, საბალანსო, სალიკვიდაციო და საკურსო ფასები.

აქციის ნომინალური ფასი ემისიის დროს პირობითად განისაზღვრება და აისახება სერტიფიკატში. მას მხოლოდ ბუღალტრული მიზნებისათვის იყენებენ. აქციები გაიცემა, სულ ცოტა, ნომინალურ თანხად. საქართველოს კანონმდებლობით ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს ერთ ლარს ან მის მრავალჯერადას. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა ემატება სარეზერვო ფონდებს. ნომინალური ფასი ფაქტიურად არანაირ კავშირში არ იმყოფება აქციის რეალურ ღირებულებასთან. აშშ-ში უკანასკნელ ხანს მსხვილი ფირმები გამოშვებულ აქციებზე, როგორც წესი, ნომინალს აღარ ასახავენ.

საემისიო ფასი ის ფასია, რომლითაც აქცია იყიდება ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე. ხშირ შემთხვევაში ეს ფასი განსხვავდება ნომინალურისაგან, ვინაიდან აქციების განთავსება შუამავლების მეშვეობით ხდება, რომლებიც ყიდულობენ აქციების მთელ გამოშვებას შეთანხმებული ფასით და შემდგომ ყიდიან საემისიო ფასით.

საბალანსო ფასი გაიანგარიშება სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივების ღირებულების გაყოფით გამოშვებული აქციების რაოდენობაზე. მისი განსაზღვრის აუცილებლობას დროთა განმავლობაში ფირმის აქტივების ცვლილება განაპირობებს.

აქციის სალიკვიდაციო ფასი გაიანგარიშება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში. იგი წარმოადგენს კრედიტორთა ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი აქტივების სარეალიზაციო ფასის შეფარდებას გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობასთან.

საბაზრო ფასი (კურსი) ეწოდება ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე აქციების გაყიდვის ფასს. აქციის კურსი დამოკიდებულია ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის კონიუნქტურაზე და მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით განისაზღვრება.

აქციების მიწოდებას, ბუნებრივია, განსაზღვრავს ემიტენტი საწარმო საკუთარი ფინანსური საჭიროებებიდან გამომდინარე. რაც შეეხება მოთხოვნას, მასზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას:

- ✓ აქციის მფლობელი შემოსავლის სახით ღებულობს დივიდენდს. შესაბამისად მაღალი დივიდენდი უზრუნველყოფს აქციებზე მზარდ მოთხოვნას და პირიქით.
- ✓ აქციონერს დივიდენდის გარდა, შემოსავლის მიღება აქციების გაზრდილი კურსით გაყიდვითაც შეუძლია. საქმე ისაა, რომ აქცია დივიდენდის მიღების საშუალებასთან ერთად წარმოადგენს საწარმოს ქონების ნაწილზე საკუთრების უფლებას. შემთხვევითი არ არის სარეკლამო ლოზუნგის პოპულარობა – `საწარმოს აქციების შეძენით თქვენ იძენთ მის ნამატს~. შესაბამისად აქციების შეძენისას მხედველობაში მიიღება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი მთლიანი წმინდა მოგება, როგორც წმინდა აქტივების მთავარი წყარო და მომავალი დივიდენდების ბაზა.

- ✓ ინვესტორი ყოველთვის დგას არჩევანის წინაშე ფული დააბანდოს შედარებით სარისკო აქციებში, თუ განათავსოს გაცილებით საიმედო საბანკო დეპოზიტზე. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რომელიც დეპოზიტებზე გაიცემა, შეამცირებს აქციებზე მოთხოვნას და პირიქით.
- ✓ აქციებზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ციკლები. როდესაც ეკონომიკა შედის აღმავლობის ფაზაში – აქციებზე მოთხოვნა იზრდება და პირიქით – მცირდება ეკონომიკური დეპრესიისას.
- ✓ ემიტენტი ფირმის მიერ ბაზარზე დაკავებული განსაკუთრებული კონკურენტული პოზიცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორების გადაწყვეტილებაზე შეიძინონ აქციები. ბუნებრივია, მოთხოვნა მაღალი იქნება იმ საწარმოთა აქციებზე, რომლებსაც დარგში წამყვანი პოზიციები უკავიათ და პოტენციური კონკურენტებისათვის აღმართული აქვთ ბაზარზე შეღწევის ბარიერები.
- ✓ პიროვნება, რომელსაც გააჩნია დანაზოგი, ნაკლებად პოპულარული საწარმოს აქციების შეძენას ამჯობინებს ცნობილი და კარგად რეკლამირებული ფირმის აქციებს. როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინვესტორი უორენ ბაფეტი აღნიშნავს (ფინანსურ ბაზარზე საქმიანობით დააგროვა 15 მლრდ დოლარის ქონება) – ეძებეთ საწარმო, რომლის ბუღალტრული ანგარიშების მიღმა იმალება რეალური ფასეულობა, მაგალითად, სავაჭრო მარკა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია. შესაბამისად პრესტიჟული საწარმოების აქციებზე მოთხოვნა მაღალი იქნება.

აქციების კურსი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. მაგრამ არის თუა არა სხვაობა აქციების იმ კურსსა, რომლითაც ხელიდან ხელში გადადის საკონტროლო პაკეტი და იმ კურსს შორის, რომლითაც მცირე პაკეტები იყიდება? აქციების „თანასწორუფლებიანობა“ არ წარმოადგენს, როგორც ყოველი თანასწორუფლებიანობა – აბსოლუტურს. საკონტროლო პაკეტში კონცენტრირებული აქციები იძენენ ახალ თვისებას, რაც საწარმოს კონტროლის შესაძლებლობაში ვლინდება. დანაწევრებულ აქციებს ასეთი თვისება არ გააჩნია. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქციები გამოდის, როგორც საქონელი. სხვადასხვა ხარისხობრივი თვისების მატარებელი საქონელი კი განსხვავებულად ფასობს.

აქციათა სახეები

განკარგვის უფლების შესაბამისად აქციები შეიძლება იყოს: სახელობითი და წარმდგენზე. სახელობითი აქცია გამოიწერება კონკრეტული მფლობელის სახელზე, ხოლო მონაცემები მფლობელის შესახებ აისახება სააღრიცხვო წიგნში. აქციონერად ან შემთხვევაში ჩაითვლება მხოლოდ ის მფლობელი, რომლის შესახებაც არის სათანადო ჩანაწერი. სახელობითი აქციების ძირითადი ღირსება ისაა, რომ საწარმოს ეძლევა სააქციო კაპიტალის მოძრაობაზე მუდმივი დაკვირვების შესაძლებლობა, ხოლო უარყოფითი მხარეა – მისი ყიდვა-გაყიდვის გართულებული პროცესი. აქცია წარმდგენზე არ საჭიროებს ახალი მფლობელის რეგისტრაციას და ამდენად მისი გაყიდვა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე გამარტივებულია.

შემოსავლის მიღების ფორმის მიხედვით განასხვავებენ ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს.

ჩვეულებრივი აქცია (ცომმონ სტოკც, ექუიტყ სტოკც) იძლევა ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე, ხოლო დივიდენდის სიდიდე წინასწარ არ არის ცნობილი და დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის შედეგზე.

მსოფლიოში (ძირითადად აშშ-ში) საინვესტიციო თვისებების მიხედვით ჩვეულებრივი აქციები შემდეგნაირად იყოფა:

ცისფერი კოჭები (Bლუე ცჰიპს) - მსხვილი საწარმოების აქციებია, რომლებიც სტაბილურად იხდიან დივიდენდებს, საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობენ ფინანსურ ბაზარზე და უკავიათ წამყვანი პოზიციები თავიანთ დარგში.

ზრდის აქციები (გროუტჰ სტოკცს) - აღმავლობის ფაზაში მყოფი საწარმოების აქციებია. ამიტომ მოგება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანად ეკონომიკა. უმთავრესად, ესენია ახალგაზრდა საწარმოები, რომლებიც აქციონერებს მცირე დივიდენდებს უხდიან (ან საერთოდ არ უხდიან) და მოგების დიდ ნაწილს ბიზნესის გაფართოებისაკენ მიმართავენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება

ბიოტექნოლოგიური, აგრეთვე უახლესი ტექნოლოგიების საწარმოების აქციათა უმრავლესობა. ამ დროს ინვესტორისათვის მოგების მთავარი წყაროა აქციების კურსის ზრდა.

თავდაცვითი აქციები (Dეფენსივე სტოკს) - იმ საწარმოების აქციები, რომლებიც კრიზისების პერიოდში ამჟღავნებენ მდგრადობას. მათი აქციების კურსი სტაბილურია და ზოგჯერ იზრდება კიდევ. მათ მიეკუთვნება: კომუნალური მომსახურების, კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგის, ასევე ძვირფასი ლითონების მომპოვებელი საწარმოთა აქციები.

შემოსავლიანი აქციები (Iნკომე სტოკს) - იმ საწარმოთა აქციებია, რომლებიც რეგულარულად იხდიან საშუალოზე მაღალ დივიდენდებს. ამ აქციებით ძირითადად დაინტერესებულნი არიან ხნიერი ინვესტორები, რომლებიც აქციებს ყიდულობენ მიმდინარე შემოსავლების მიღების მიზნით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება კომუნალური მეურნეობის საწარმოების აქციათა უმრავლესობა.

ციკლური აქციების (ჩყცილიცალ სტოკს) - შემოსავლიანობა დამოკიდებულია ეკონომიკური აქტივობის დონეზე. როდესაც ეკონომიკური კონიუნქტურა უარესდება ამ საწარმოების მოგება მცირდება, რაც იწვევს აქციების კურსის ვარდნას და პირიქით, როდესაც ეკონომიკა შედის აღმავლობის ფაზაში, რენტაბელობა აღდგება თავდაპირველ დონეზე და აქციების ფასი იწყებს ზრდას. ციკლურ დარგებს მიეკუთვნება ფოლადის, ცემენტის, დაზგების, ავტომობილებისა და სხვა წარმოება.

სეზონური აქციების (შეასონალ სტოკს) - შემოსავლიანობა იცვლება სეზონის მიხედვით. ამის მაგალითია სავაჭრო ბიზნესი სადაც გაყიდვებისა და მოგების მოცულობა იზრდება წლის განსაზღვრულ დროს, როგორც წესი, სასწავლო წლის დაწყებისა და შობის წინა პერიოდში.

პრივილეგიებული აქციები (პრეფერედ სტოკს) არ იძლევა სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას. პრივილეგიები გამოიხატება გარანტირებული დივიდენდების მიღებაში, გარდა ამისა, საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორების პირველ რიგში დაკმაყოფილების შემდეგ, ჯერ პრივილეგიებული აქციის მფლობელები იღებენ ქონების ნაწილს და ბოლოს ჩვეულებრივი აქციებისა.

მსოფლიო პრაქტიკაში პრივილეგიებული აქციები სხვადასხვა სახისაა:

კუმულაციური პრივილეგიებული აქციები პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია. ის ითვალისწინებს გადასახდელი დივიდენდების დაგროვებას, რომელიც შემდგომში გაიცემა მფლობელზე ჩვეულებრივი აქციების დივიდენდების გადახდის შესახებ გამოცხადებამდე;

არაკუმულაციური პრივილეგიებული აქციები არ უზრუნველყოფენ დივიდენდის დაგროვებას. მათი მფლობელები კარგავენ დივიდენდებს იმ პერიოდისათვის, როდესაც კორპორაციის დირექტორთა საბჭო არ აცხადებს დივიდენდის გადახდის შესახებ;

კონვერტირებადი პრივილეგიებული აქციები შეიძლება გადაიცვალოს ჩვეულებრივი აქციების განსაზღვრულ რაოდენობაზე, დათქმული პროპორციით;

გამოხმობითი პრივილეგიებული აქციები ემიტენტს უტოვებს მათი გამოსყიდვის უფლებას ნომინალზე დამატებული ფასით;

პრივილეგიებული აქციები მონაწილეობის წილით მფლობელს აძლევს დამატებითი დივიდენდის მიღების უფლებას გამოცხადებული თანხის ზემოთ, თუ ჩვეულებრივი აქციების დივიდენდები აღემატება გამოცხადებულ თანხას;

პრივილეგიებული აქციები დივიდენდის მცოცავი განაკვეთით ითვალისწინებს დივიდენდის კორექტირებას (ჩვეულებრივ, კვარტალურად) სახელმწიფო მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის დინამიკის გათვალისწინებით.

3.2.2 ობლიგაციები

აქციებისაგან განსხვავებით, რომელიც საწარმოს საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს, ობლიგაცია სასესხო კაპიტალს განეკუთვნება და ამიტომ ისინი სააქციო საზოგადოების „სესხის ფასიანი ქაღალდებია“. ამრიგად, ობლიგაციის მფლობელები არიან საწარმოს კრედიტორები, მაშინ, როდესაც აქციონერები მისი მფლობელები არიან. ამასთან დაკავშირებით ობლიგაციონერთა უფლებები განსხვავებულია აქციონერთა უფლებებისაგან. კერძოდ, ობლიგაციის მფლობელებს არ აქვთ ხმის უფლება და შესაბამისად არ შეუძლიათ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში. მაგრამ მათ აქვთ ის უფლებები, რაც არ გააჩნია აქციონერებს. კერძოდ, ემიტენტი ვალდებულია გადაიხადოს პროცენტები მაშინ, როდესაც აქციები ასეთ ვალდებულებას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, სააქციო

საზოგადოების ლიკვიდაციისას ობლიგაციონერებს აქვთ უპირატესი უფლებები აქციონერებთან შედარებით.

ობლიგაციონერებთან ემიტენტის ურთიერთობა ფორმდება სპეციალური ხელშეკრულებით. მისი პირობებით საწარმო ვალდებულია ინვესტორს დაუბრუნოს სრული თანხა დადგენილ დროში, აგრეთვე ობლიგაციის ტირაჟში შესვლამდე (ვადის ამოწურვამდე) გადაიხადოს პროცენტები დადგანილი განაკვეთით. ფიქსირებული საპროცენტო თანხის პერიოდულად მიღების უფლებას ეწოდება ანუიტენტი. როგორც წესი, საწარმოები ობლიგაციებს უშვებენ 1000 დოლარიანი ნომინალით. პროცენტებს ჩვეულებრივ იხდიან წელიწადში ორჯერ. ობლიგაციები დაფარვის ვადის მიხედვით შეიძლება იყოს: მოკლევადიანი - 1-დან 3 წლამდე; საშუალო ვადიანი - 3-დან 7 წლამდე და გრძელვადიანი 7-დან 30 წლამდე.

აქციონერთა მსგავსად, ობლიგაციონერებიც იღებენ მათ მიერ ობლიგაციების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს - ობლიგაციის სერტიფიკატს. მასში აღნიშნულია:

- ემიტენტის დასახელება;
- ობლიგაციის ნომინალური ღირებულება;
- საპროცენტო განაკვეთი;

პასუხისმგებელი აგენტის დასახელება როგორც პროცენტებზე, ასევე მთლიან თანხაზე. ასეთი აგენტის როლს ასრულებს თვით საწარმო ან რომელიმე ბანკი.

ობლიგაციები შეიძლება იყოს აქტივებით უზრუნველყოფილი, რომლებსაც ლიტერატურაში უწოდებენ „უფროს ფასიან ქაღალდებს“ და უზრუნველყოფის გარეშე - „უმცროსი ფასიანი ქაღალდები“. ამ სახის ობლიგაციების უზრუნველყოფა რაიმე მატერიალური აქტივებით არ ხდება. მათთვის დასაყრდენია ემიტენტი საწარმოს იმიჯი და კრედიტუნარიანობა. ფაქტიურად, ასეთი ობლიგაციები გამაგრებულია საწარმოს აქტივებით, მაგრამ ფორმალურად ეს აქტივები გარანტიის სახით არ არის ჩადებული. იმის გამო, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფის გარეშე ნაკლებად სანდოა, ვიდრე უზრუნველყოფილი, მათზე საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია.

ობლიგაციებს გააჩნია ნომინალური ფასი (რომელიც ფიქსირებულია) და საბაზრო ფასი (რომელიც ცვალებადია). ობლიგაციები შეიძლება გაიყიდოს ნომინალზე უფრო მაღალი ფასით - ფასნამატით, ანუ პრემიით, ან ნომინალზე დაბალი ფასით - ფასდაკლებით, ანუ დისკონტით. რადგან ნომინალი უმრავლეს შემთხვევაში შეადგენს 1000 დოლარს, ობლიგაციების კოტირება (საბაზრო ფასის განსაზღვრა) ხორციელდება პროცენტებში ნომინალის მიმართ. მაგალითად, თუ ობლიგაცია იყიდება „at 96“ ფასით, ეს ნიშნავს, რომ მისი ფასი შეადგენს 96% ნომინალის მიმართ, ანუ 960 დოლარს.

დაუშვათ, რომ საშუალო ვადიანი ობლიგაციები 6 წლის შემდეგ დაფარვის ვადით გამოშვებულია წლიური 5%-ით, ხოლო გრძელვადიანი ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია 12 წლით აქვთ 7%-იანი სარგებელი. ბუნებრივია, რაც უფრო დაშორებულია დაფარვის ვადა მით უფრო მაღალი უნდა იყოს სარგებლის განაკვეთი და პირიქით. ინვესტორი იძენს გრძელვადიან ობლიგაციას 1000 დოლარიანი ნომინალით.. 6 წლის შემდეგ მას წარმოექმნება ამ ობლიგაციების გაყიდვის აუცილებლობა. სარგებლის განაკვეთის აბსოლუტური დონე და სტრუქტურა არ შეცვლილა. ამიტომ 6 წლიან ობლიგაციას წინანდებურად მისი მფობელისათვის მოაქვს წელიწადში 50 დოლარი. ინვესტორი კი გამოდის ბაზარზე ობლიგაციით, რომელიც ასევე დაიფარება 6 წლის შემდეგ, მაგრამ ის მოიტანს 70 დოლარს წელიწადში, ამიტომ ინვესტორი შეეცდება მის გაყიდვას ისეთ ფასად, რომ გრძელვადიანი ობლიგაციის შემოსავლიანობა, რომლის დაფარვამდე დარჩა 6 წელი, მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს საშუალო ვადიანი ობლიგაციის შემოსავლიანობას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში გრძელვადიანი ობლიგაცია გაიყიდება პრემიით. თავის მხრივ საშუალო ვადიანი ობლიგაციის მფლობელი, რომელსაც ფული სჭირდება, იძულებული იქნება საშუალო ვადიანი ობლიგაციები გაიყიდოს დისკონტით.

ობლიგაციების უმრავლესობას აქვს რეიტინგი, რომელსაც ადგენენ დამოუკიდებელი ფირმები. რეიტინგის მინიჭება ღრმა და დეტალური ანალიზის შედეგია, რომლის დროსაც განისაზღვრება მთელი რიგი საკვანძო კოეფიციენტები, მათ შორის _ გრძელვადიანი სესხის თანაფარდობა საწარმოს საკუთარ კაპიტალთან, მთლიანი მოგების თანაფარდობა გადასახდელი სარგებლის თანხასთან და სხვა. შედეგად შეიძლება განისაზღვროს თუ რამდენად საიმედოა ცალკეული ემიტენტის ობლიგაციები ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებისას. ყველაზე მეტად გავრცელებულია ამერიკული ფირმების - **Standard & Poor's** და **Moodi's Investors Service** შეფასებები.

Standard & Poor's	Moodi's Investors Service	საიმედობის დონე	გრადაცია
AAA	Aaa	უმაღლესი	საინვესტიციო კლასი “investment grade”
AA	Aa	მაღალი საიმედონა	
A	A	სასურველზე მაღალი	
BBB	Baa	საშუალო	„მაკულატურა“ “janq bonds”
BB	Ba	საშუალოზე დაბალი	
B	B	დამაკმაყოფილებელი	
CCC	Caa	სპეკულაციური	სპეკულაციური “speculative”
CC	Ca	მაღალსპეკულაციური	
C	C	ზალიან სარისკო	
D	–	უიმედო	–

ასევე საყურადღებოა, რომ ყველა გრადაციის პირობებში უმაღლესის გარდა, აშშ-ის ფირმები იძლევიან რეიტინგებს, რომელიც მოცემული გრადაციის ჩარჩოებში ობლიგაციების დამატებით რანჟირებას ახდენს. ამ მიზნით Standard & Poor's-ის მიერ გამოცხადებულ რეიტინგს შეიძლება დაემატოს + ან - ნიშანი. მაგალითად, CC+-ის შემთხვევაში ობლიგაცია ფასდება როგორც შედარებით უფრო საიმედო, ვიდრე ობლიგაცია რეიტინგით CC. Moodi's Investors Service-სი იმავე მიზნით იყენებს ინდექსებს 1,2,3. მის მიერ მოცემული გრადაციის ჩარჩოებში ობლიგაციები Ca1 რეიტინგით უკეთესია Ca3 რეიტინგის ობლიგაციებზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვა

4.1 ბუღალტრული აღრიცხვის არსი და სტრუქტურა

თანამედროვე კონკურენტულ ბიზნესის გარემოში ყველა წარმატებული კომპანია გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციას ეყრდნობა. **ბუღალტრული აღრიცხვა** არის ფინანსური ინფორმაციის სისტემატურად შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების პროცესი. ყურადღება შეაჩერეთ ამ სამ საკითხზე:

1. რა მოგება ჰქონდა ბიზნესს გასულ წელს?
2. რა ოდენობის გადასახადი დააკისრა ბიზნესს შემოსავლების სამსახურმა?
3. რა ოდენობის თანხა აქვს გადასახდელი ბიზნესს კრედიტორებისა და მომწოდებლები-სათვის?

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ და სხვა მრავალ კითხვას კომპანიის ბუღალტრები და მისი ბუღალტრული სისტემა პასუხობენ. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია შესაძლოა გამოვიყენოთ იმ შევითხვებზე პასუხების გასაცემად, რაც წარსულში მომხდართან დაკავშირებით გაჩნდა, ის ასევე გვეხმარება მომავალში გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც.

მიუხედავად მრავალი ადამიანის შეხედულებისა, რომ ყველა ბუღალტერი ერთსა და იმავე დავალებას ასრულებს, ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებობს ექსპერტიზის სპეციალური სფეროები. ფაქტობრივად, ბუღალტრული აღრიცხვა იყოფა ორ ფართო – მმართველობით და ფინანსურ – კატეგორიად:

1. **მმართველობითი აღრიცხვა** - ორგანიზაციის მენეჯერებს და თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ფირმის ფინანსებთან, ინვესტიციებთან, მარკეტინგსა და ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენების შედეგად, როგორც მენეჯერებს, ასევე თანამშრომლებს შეუძლიათ, შეაფასონ წარსულში შესრულებული სამუშაო და ასევე განსაზღვრონ, თუ რას უნდა ელოდონ მომავალში.
2. **ფინანსური აღრიცხვა** - ქმნის ფინანსურ დოკუმენტებსა და ანგარიშებს ორგანიზაციის გარეთ არსებული დაინტერესებული პირებისათვის. როგორც წესი, აქციონერები, ფინანსური ანალიტიკოსები, ბანკირები, კრედიტორები, მიმწოდებლები, სამთავრობო

სააგენტოები და სხვა დაინტერესებული ჯგუფები იყენებენ ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციას, რათა განსაზღვრონ, თუ რამდენად მიაღწია ფირმამ დასახულ მიზნებს.

მმართველობით და ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად, აღრიცხვის სპეციფიკურ სფეროებს მიეკუთვნება:

• **ხარჯთაღრიცხვა** – სპეციფიკური მომსახურების, ან პროდუქციის წარმოების ღირებულების განსაზღვრა;

• **საგადასახადო აღრიცხვა** – საგადასახადო სტრატეგიის დაგეგმვა და საგადასახადო დეკლარაციების მომზადება ფირმისათვის ან ცალკეული პირებისათვის;

• **სამთავრობო აღრიცხვა** – აღრიცხვის ძირითადი სერვისებით უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნას შედეგი საგადასახადო შემოსავლების იმგვარად აკრეფა, რომ ის შეესაბამებოდეს შტატების სახელმწიფოს მიზნებს.

• **არაკომერციული აღრიცხვა** – არაკომერციული ორგანიზაციებს ეხმარება შემოწირულობების და ხარჯების აღრიცხვაში.

4.2 ბუღალტრული აღრიცხვის განტოლება

ბუღალტრული განტოლება არის მარტივი ანგარიში, რაც ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველს ქმნის. ეს განტოლება გვიჩვენებს კავშირს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ (დამფუძნებელთა) კაპიტალს შორის.

- **აქტივები** არის რესურსები, რომელსაც ფლობს ბიზნესი - ნაღდი ფული, ინვენტარი, აღჭურვილობა და უძრავი ქონება.
- **ვალდებულებები** არის ფირმის დავალიანება - ნასესხები ფული, რომელიც მან ისესხა სხვებისაგან და აქვს მისი გადახდის ვალდებულება.
- **საკუთარი (დამფუძნებელთა) კაპიტალი** – განსხვავება მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის - რა დარჩება ფირმის დამფუძნებლებს, თუ ფირმის აქტივები გაიყიდება და მიღებული თანხა გამოყენებული იქნება, რათა დაიფაროს ფირმის ვალდებულებები.

კავშირი აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ნაჩვენებია შემდეგი განტოლებით:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

თანხა, რომელიც ფირმას გააჩნია აქტივების სახით, ფირმის ნასესხები თანხების (ვალდებულებები) და ფირმის დამფუძნებელთა ინვესტიციების ტოლი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, ფირმა პატარა სასურსათო მაღაზიაა, თუ ისეთი დიდი კორპორაცია, როგორცაა General Mills, მისი აქტივების მაჩვენებელი უნდა გაუტოლდეს მისივე ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამს. იმისათვის, რომ ფირმის ბუღალტერმა ეს განტოლება გამოიყენოს, მან ფირმის დაუმუშავებელი მონაცემები, ანუ ფირმის ყოველდღიური ფინანსური ტრანსაქციები უნდა ჩაწეროს ბუღალტრული მონაცემების ორმაგი ჩაწერის პრინციპით. **ბუღალტრული მონაცემების ორმაგი ჩაწერის პრინციპი** არის სისტემა, რომელშიც ყოველი ფინანსური ტრანსაქცია ჩაწერილია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბუღალტრული ჩანაწერის სახით, რათა ბუღალტრული აღრიცხვის განტოლების სახით ნაჩვენები ბალანსი დაცული იყოს. ამგვარად, შესაძლებელია, რომ ფირმის ნებისმიერი ფინანსური ტრანსაქცია შეჯამდეს ფირმის ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია სტანდარტიზებული ფორმატით, რათა ანგარიშები ხელმისაწვდომი იყოს მრავალი დაინტერესებული ადამიანისათვის – მენეჯერებისთვის, თანამშრომლებისთვის, კრედიტორებისთვის, მიმწოდებლებისთვის, აქციონერებისთვის, პოტენციური ინვესტორებისა და სამთავრობო უწყებებისთვის. ფინანსური ანგარიშგების ფორმა ყველა კომპანიისთვის საერთოა, იქნება ეს მეზობლად არსებული ვიდეოების მაღაზია, სარეცხის მშრალი რეცხვისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანების მწარმოებელი პატარა ფირმა თუ ისეთი გიგანტური კონგლომერატები, როგორებიცაა: Home Depot, Boeing და Bank of America. ფირმის ფინანსური ანგარიშგება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მომზადდეს და წარმოადგინოს ფირმის წლიური ანგარიში. **წლიური ანგარიში** განკუთვნილია ფირმის აქციონერებისათვის, სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და ასახავს ფირმის ოპერაციულ საქმიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობას. მრავალი ფირმა ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ორჯერ, კვარტალურად ან თვიურად.

4.2 ბალანსის ანგარიშგება

შეკითხვა: სად შეიძლება ვნახოთ ვალდებულებებისა და დამფუძნებელთა კაპიტალის მთლიანი მაჩვენებელი კომპანია „ნატახტარისათვის“?

პასუხი: ფირმის ბალანსის უწყისში (ბუღალტრულ ბალანსში)

ბალანსის ანგარიშგება (ასევე მოიხსენიებენ, როგორც **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას**) ეს არის კონკრეტული აღრიცხვის პერიოდის ბოლოს ფირმის მფლობელობაში არსებული თანხის შეჯამება, რაც აქტივების, ვალდებულებებისა და დამფუძნებელთა კაპიტალის ანგარიშებით გამოიხატება. ბუღალტრულმა ბალანსმა უნდა გვიჩვენოს, რომ აქტივები ვალდებულებებისა და დამფუძნებელთა კაპიტალის ჯამის ტოლია. ბევრს მიაჩნია, რომ ბუღალტრული ბალანსი, როგორც ანგარიში, გამოხატავს ისეთი ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, როგორცაა, მაგალითად, ნატახტარი, მაგრამ ბუღალტრული ბალანსი ცალკეულ პირებსაც ეხება. მაგალითად, მარტი კემპბელმა უნივერსიტეტი სამი წლის წინ დაამთავრა და საქონლის მიწოდებაზე ორიენტირებულ ფირმაში საქონლის გაყიდვების აგენტის თანამდებობა მიიღო. მუშაობის დაწყების შემდეგ მან შემნახველი ანაბარი გახსნა და ავტომობილი, სტერეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და ავეჯი შეიძინა. მარტიმ ზოგიერთი ნივთის ყიდვისას ნაღდი ფული გადაიხადა, მაგრამ ძვირად ღირებული ნივთების შესაძენად, ის იძულებული გახდა, ფული ესესხა. ცხრილი 17.5 გვიჩვენებს მარტის მიმდინარე ინდივიდუალურ ბუღალტრულ ბალანსს.

მარტი კემპბელის პერსონალური ბუღალტრული ბალანსი 31 დეკემბერი 20XX წელი

აქტივები

ნაღდი ფული - \$2, 500

შემნახველი ანაბარი - 5, 000

ავტომობილი - 15, 000

სტერეო - 1, 000

ტელევიზორი - 500

ავეჯი - 2, 500

სულ აქტივები - \$26, 500

ვალდებულებები

ავტომობილის სესხი - \$9, 500

კრედიტის ნაშთი, სალდო - 500

სულ ვალდებულებები - \$10, 000

საკუთარი კაპიტალი (დამფუძნებლის კაპიტალი) - \$16, 500

სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი - \$26, 500

მარტი კემპბელის საკუთრებაში არსებული აქტივების სიდიდე \$26, 500-ს შეადგენს, ხოლო ვალდებულებების სიდიდე – \$10, 000-ს. მიუხედავად იმისა, რომ სხვაობას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის ჰქვია დამფუძნებელთა კაპიტალი, ან აქციონერთა კაპიტალი ბიზნესისათვის, ცალკეული კერძო პირისთვის მას საკუთარი კაპიტალი შეიძლება ვუწოდოთ. როგორც მარტის პერსონალურ ბუღალტრულ ბალანსში გვქონდა მოცემული, საკუთარი კაპიტალი \$16, 500-ს შეადგენს. მთლიანი აქტივები (\$26, 500) და მთლიან ვალდებულებებს დამატებული საკუთარი კაპიტალი (10, 000 + 16, 500 = \$26, 500) ერთმანეთის ტოლია. ამგვარად, ბუღალტრული განტოლება – აქტივები = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი – შესაბამისობაშია ბუღალტრული ბალანსის მოთხოვნებთან.

ცხრილი გვიჩვენებს ბუღალტრულ ბალანსს მცირე კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის, რომელიც საცალოდ ყიდის სურათის ჩარჩოებს, საღებავებს, ტილოებს და მხატვრისათვის საჭირო სხვა ნივთებს ნიუ ინგლენდში (ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონი). გაითვალისწინეთ, რომ აქტივები ანგარიშის მარცხენა მხარესაა თავმოყრილი, ხოლო ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი – მარჯვენა მხარეს. მოდით, გავანალიზოთ ცხრილ მოცემული სხვადასხვა ანგარიში.

კორპორაცია Northeast Art Supply
ბუღალტრული ბალანსი, 31 დეკემბერი, 20XX წელი

აქტივები:

მიმდინარე აქტივები

ნაღდი ფული - \$59 000

ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები - 10, 000

დებიტორული დავალიანება (დებიტორული ანგარიშები) – 40, 000

მინუს საეჭვო დავალიანების რეზერვი - 2, 000 (40, 000 - 2, 000=38, 000)

მისაღები თამასუქები - 32, 000

სასაქონლო ინვენტარი - 41, 000

წინასწარგაწეული ხარჯები - 2, 000

მიმდინარე აქტივები სულ - 182, 000

ფიქსირებული აქტივები

მიწოდებისთვის საჭირო მოწყობილობები - \$110, 000

მინუს ამორტიზაცია - 20, 000 (110, 000 - 20, 000 = 90, 000)

ავეჯი და მაღაზიის მოწყობილობები აღჭურვილობა - 62, 000

მინუს ცვეთა 15, 000 (62, 000 - 15, 000 = 47, 000)

ფიქსირებული აქტივები სულ - 137, 000

არამატერიალური აქტივები

პატენტები - \$21, 000

სულ არამატერიალური აქტივები - 21, 000

სულ აქტივები \$340, 000

ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება - \$35, 000

გასანაღდებელი თამასუქები - 25, 675

გასაცემი ხელფასები - 4, 000

საგადასახადო ვალდებულებები - 5, 325

სულ მიმდინარე ვალდებულებები - \$70, 000

გრძელვადიანი ვალდებულებები

იპოთეკური სესხი მაღაზიის აღჭურვილობაზე - \$40, 000

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები - \$40, 000

სულ ვალდებულებები - \$110, 000

აქციონერთა კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები (25, 000 X \$6) - \$150, 000

გაუნაწილებელი მოგება - 80, 000

სულ მესაკუთრეთა კაპიტალი - \$230, 000

სულ ვალდებულებები და მესაკუთრეთა კაპიტალი - \$340, 000

აქტივები

ბუღალტრულ ბალანსში აქტივები განლაგებულია ლიკვიდურობის კლებადობის მიხედვით - ყველაზე ლიკვიდური აქტივებიდან ნაკლებად ლიკვიდურამდე. აქტივის **ლიკვიდურობა** არის მისი უნარი, მარტივად გადაიცვალოს ნაღდ დულზე.

მიმდინარე აქტივები არის აქტივები, რომლებიც სწრაფად გადაიცვლება ნაღდ ფულზე ან გამოიყენება ერთი წლის, ან უფრო ნაკლები დროის მანძილზე. ნაღდი ფული, როგორც ყველაზე ლიკვიდური აქტივი, სიაში პირველია. შემდეგია ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები - აქციები, ობლიგაციები და სხვა დაბანდებები, რომლებიც შეიძლება რამდენიმე დღეში ნაღდ ფულზე გადავცვალოთ.

შემდეგია ფირმის მიერ მისაღები თანხები. ბალანსის ანგარიშგებაში მისი მუხლია **დებიტორული დავალიანება**, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს კრედიტით შეიძინოს ფირმის საქონელი და დაფაროს ეს კრედიტი, როგორც წესი, 30-დან 60 დღემდე ვადაში. თუმცა ფირმა ვარაუდობს, რომ მომხმარებელი ზოგიერთ ვალს არ დაფარავს. ამიტომ იგი დებიტორული დავალიანების სიდიდეს 5%-ით ამცირებს და საექვო დავალიანების რეზერვს ქმნის. **მისაღები თამასუქები (Notes receivable)** არის მომხმარებლის მიერ ხელმოწერილი მარტივი თამასუქები. ისინი, როგორც წესი, დაფარვის უფრო ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდებიან, ვიდრე დებიტორული დავალიანებები.

კორპორაცია Northeast-ის სასაქონლო ინვენტარი წარმოადგენს საქონლის ღირებულებას, რომელიც მომხმარებელმა უნდა შეიძინოს. იქიდან გამომდინარე, რომ Northeast Art Supply ბაზარზე საბითუმო ვაჭრობით ოპერირებს, ცხრილში ნაჩვენები ინვენტარი წარმოადგენს საცალოდ მოვაჭრეებზე გასაყიდად გამიზნულ მზა საქონელს. სამრეწველო ფირმისათვის სასაქონლო ინვენტარი შეიძლება იყოს ნედლეულიც, მასალები, რომელიც გახდება მზა ნაწარმის შემადგენელი კომპონენტი ან სამუშაო, რომელიც ნაწილობრივია შესრულებული და შემდგომში დამატებით საჭიროებს შესრულებას.

Northeast Art-ის უკანასკნელი მიმდინარე აქტივია წინასწარგაწეული ხარჯები, აქტივები, რომლებიც გადახდილია წინასწარ, მაგრამ ჯერ გამოუყენებელია, მაგალითად, სადაზღვევო პრემია, როგორც წესი, გადაიხდება პოლისის მისაღები წლის დასაწყისში. თანხის გამოუყენებელი ნაწილი (ვთქვათ, ბოლო ოთხი თვის მანძილზე პოლისის პრემიის შენატანების გამო) არის წინასწარგაწეული ხარჯი. კორპორაცია Northeast Art-ისთვის სულ მიმდინარე აქტივები \$182, 000-ს შეადგენს.

ფიქსირებული აქტივები არის აქტივები, რომელიც კომპანიის მფლობელობაშია და გამოყენებულია ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში. ფიქსირებული აქტივები მოიცავს მიწას, შენობა-ნაგებობებს და ისეთ აღჭურვილობებს, რომლებიც გამოიყენება ბიზნესში უწყვეტი, მუდმივად მოქმედი ოპერაციების განხორციელებისას. მიუხედავად იმისა, რომ Northeast Art-ს მიწა და შენობა-ნაგებობები არ გააჩნია, იგი მიწოდებისთვის საჭირო აღჭურვილობებს ფლობს, რომლის ღირებულებაც \$110, 000-ს შეადგენს. ის ფლობს ავეჯს და მაღაზიის აღჭურვილობასაც, რომლის ღირებულებაც \$62, 000.

გაითვალისწინეთ, რომ ორივე ფიქსირებული აქტივის ღირებულება შემცირებულია დაგროვილი ცვეთის სიდიდით. **ამორტიზაცია** არის ფიქსირებული აქტივის ღირებულების დროის განაწილება მისი ექსპლუატაციის ვადის შესაბამისად. ამორტიზაციის თანხა, რომელიც ყოველწლიურად განისაზღვრება, მიმდინარე წლის ხარჯია, ამიტომ აქტივების ღირებულება ამორტიზაციის სიდიდით უნდა შემცირდეს. კორპორაცია Northeast-ის მიწოდებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემთხვევაში, \$20, 000-ის ამორტიზაცია, რომელიც აღჭურვილობებმა შეძენის შემდეგ განიცადა. შესაბამისად, მისი ღირებულება ამ დროისთვის \$110, 000-ზე \$20, 000-ით ნაკლებია და \$90, 000-ს შეადგენს. შესაბამისად, ავეჯისა და მაღაზიის აღჭურვილობის თავდაპირველი ღირებულება (\$62 000) შემცირებულია ამორტიზაციის მთლიანი სიდიდით (\$15, 000-ით). ავეჯისა და მაღაზიის ინვენტარის ამორტიზაციის შემდგომი (ნარჩენი) ღირებულება \$47, 000-ს შეადგენს. Northeast Art-ისთვის სულ ფიქსირებული აქტივების სიდიდე \$137, 000-ს შეადგენს.

არამატერიალური აქტივები არის აქტივები, რომელთაც მატერიალური სახე არ გააჩნიათ, მაგრამ მათ აქვთ იმ უფლებებთან ან პრივილეგიებთან დაკავშირებული ღირებულება, რომელსაც ისინი ფირმას ანიჭებენ. არამატერიალური აქტივები მოიცავს პატენტებს, საავტორო უფლებებს, საფირმო ნიშნებს და გუდვილს. არამატერიალური აქტივები გრძელვადიანი აქტივებია - ისინი ფირმის ღირებულებას მრავალი წლის მანძილზე განსაზღვრავენ.

კორპორაცია Northeast Art Supply-ს აქვს პატენტი განსაკუთრებულ ზეთის საღებავზე, რაც კომპანიამ ამ საღებავის გამომგონებლისგან შეისყიდა. ფირმის ბუღალტრების შეფასებით, პატენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულებაა \$21, 000. ფირმის არამატერიალური აქტივები სულ \$21, 000-ს

შეადგენს. ჩვენ უკვე შეგვიძლია შევკრიბოთ სამივე სახის აქტივები კორპორაცია Northeast Art-ისთვის. როგორც გაანგარიშებულია ცხრილში სულ აქტივების სიდიდე \$340, 000-ს შეადგენს.

ვალდებულებები და დამფუძნებელთა კაპიტალი

ვალდებულებებისა და დამფუძნებელთა კაპიტალის ანგარიშებს სისრულეში მოჰყავს ბალანსის ანგარიშგება. ფირმის ვალდებულებები დაყოფილია ორ კატეგორიად: მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად.

მიმდინარე ვალდებულებები. ფირმის მიმდინარე ვალდებულებებია მისი დავალიანება, რომელიც მან ერთ წელიწადში ან უფრო მცირე დროში უნდა დაფაროს. Northeast Art-მა საქონელი მისი მომწოდებლისგან კრედიტით შეისყიდა. შესაბამისად, ბუღალტრული ბალანსი შეიცავს მუხლს კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება არის მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელიც კრედიტით შესყიდვისას წარმოიშობა.

გასანადღებელი თამასუქები არის ვალდებულებები, რომელიც გამყარებულია მარტივი თამასუქების ხელმოწერით. ისინი, ჩვეულებრივ, მოკლევადიანი ვალდებულებებია, მაგრამ შესაძლოა მისი ხანგრძლივობა გაიზარდოს და ერთ წელს გადაცდეს. მიმდინარე ვალდებულებები მხოლოდ იმ ვალდებულებებს მოიცავს, რომელთა გადახდა სავალდებულოა მიმდინარე წელს.

კომპანია Northeast Art-ისთვის გასაცემი ხელფასები და საგადასახადო ვალდებულებაც მიმდინარე ვალდებულებების მუხლში შედის. ორივე წარმოადგენს მიმდინარე აღრიცხვის პერიოდში წარმოქმნილ ფირმის ხარჯს, მაგრამ გადაიხდება შემდეგ აღრიცხვის პერიოდში. კომპანია Northeast Art-ისთვის მიმდინარე ვალდებულებები \$70, 000-ს შეადგენს.

გრძელვადიანი ვალდებულებები არის ვალდებულებები, რომლის დაფარვა ერთ წლამდე პერიოდში აუცილებელი არ არის. კომპანია Northeast-ს მხოლოდ ერთი გრძელვადიანი ვალდებულება აქვს – იპოთეკური სესხი მაღაზიის აღჭურვილობაზე (\$40, 000). ცხრილში ნაჩვენებია, რომ კორპორაცია Northeast Art-ის მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები სულ \$110, 000-ია.

დამფუძნებელთა, ან აქციონერთა კაპიტალი. როგორც ინდივიდუალური მესაკუთრისთვის, ასევე ამხანაგობისათვის, მესაკუთრეთა კაპიტალი გამოხატავს განსხვავებას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. ამხანაგობაში თითოეული პარტნიორის წილი საერთო მფლობელობაში დამოუკიდებელია სხვა პარტნიორებისგან. კორპორაციისათვის დამფუძნებელთა კაპიტალი ხშირად მოიხსენიება, როგორც აქციონერთა კაპიტალი. ბუღალტრულ ბალანსში დოლარში ასახული თანხა არის აქციების მთლიანი ღირებულებისა და გაუნაწილებელი მოგების ჯამი, რომელიც ფირმაში დაგროვილია კონკრეტული თარიღისთვის. **გაუნაწილებელი მოგება** არის მოგების ის ნაწილი, რომელიც აქციონერებზე არ განაწილდა.

კომპანია Northeast Art Supply-ის მფლობელების საწყისი ინვესტიცია – \$150, 000 25 000 აქციის \$6-ად გაყიდვის შედეგად მიიღეს. ამასთან, კორპორაცია Northeast Art-ის დაარსების შემდეგ მისი შემოსავლების – \$80, 000-ის ბიზნესში რეინვესტირება განხორციელდა. ამგვარად, მესაკუთრეთა კაპიტალი სულ \$230, 000-ს შეადგენს. როგორც საბოლოო შედეგიდან ვხედავთ, კორპორაცია Northeast Art-ის აქტივები და ვალდებულებებისა და დამფუძნებელთა კაპიტალის ჯამი ერთმანეთის ტოლია და \$340, 000-ს შეადგენს. ბუღალტრული განტოლება (აქტივები = ვალდებულებები + მესაკუთრეთა კაპიტალი) დაბალანსებულია.

4.3 შემოსავლების ანგარიშგება

შეკითხვა: სად შეგიძლიათ იპოვოთ ინფორმაცია კორპორაცია Apple-ის მოგების ან ზარალის შესახებ?

პასუხი: ფირმის შემოსავლების ანგარიშგებაში.

შემოსავლების ანგარიშგება არის ფირმის შემოსავლებისა და ხარჯების შეჯამება კონკრეტული აღრიცხვის პერიოდისთვის - ერთი, სამი, ექვსი თვისთვის ან ერთი წლისთვის. შემოსავლების ანგარიშგება ხშირად მოიხსენიება, როგორც შემოსავლების ანგარიში ან მოგება-ზარალის ანგარიშგება. მოდით, ჩვენი დისკუსია მარტი კემპბელისთვის შემოსავლების ანგარიშის შედგენით დავიწყოთ. ბოლო სამი წელი მარტი მუშაობდა ფირმაში საქონლის გაყიდვების აგენტის თანამდებობაზე, რომელიც საქონლის მიწოდებაზეა ორიენტირებული. მარტი წელიწადში \$33, 600-ს გამოიმუშავეს, ანუ \$2,800-ს ყოველთვიურად. გადასახადების გადახდის შემდეგ მისი შემოსავალია \$1900 თვეში. ცხრილში ნაჩვენებია, რომ მარტის ყოველთვიური ხარჯები მოიცავს ავტომობილის

სესხის დასაფარად არსებულ გადასახდელებს, საკრედიტო ბარათით შესყიდვებს, ბინის ქირას, კომუნალურ ხარჯებს, საკვებზე, ტანსაცმელზე, დასვენებაზე და გართობაზე გაწეულ ხარჯებს.

პირადი შემოსავლების ანგარიში
შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვის შემდეგ ნებისმიერს შეუძლია, შეადგინოს ინდივიდუალური შემოსავლების ანგარიში და ყოველთვიურად განსაზღვროს, მეტი გამოიმუშავა, ვიდრე დახარჯა თუ პირიქით.
მარტი კემპბელი
პირადი შემოსავლების ანგარიში
31 დეკემბრის ბოლოსთვის, 20XX წელი

შემოსავალი (ხელფასი გადასახადების გამოქვითვით) - \$1, 900
მინუს ყოველთვიური ხარჯები
ავტომობილის სესხი - \$250
საკრედიტო ბარათით გადახდები - 100
ბინის ქირა - 500
კომუნალური ხარჯები - 100
საკვები -250
ტანსაცმელი -100
დასვენება და გართობა - 250
სულ ყოველთვიური ხარჯები - \$1,650
ნაღდი ფულის ნამეტი (დანაზოგი) - \$250

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ბიზნესის მოგება ან ზარალი ეწოდება, ცალკეული პირებისათვის ის ფულის დანაზოგი ან დეფიციტია. მარტის, საბედნიეროდ, ყოველთვიურად \$250-ის შესაბამისი დანაზოგი აქვს რომელიც შეუძლია, გამოიყენოს დაგროვებისათვის, ინვესტირებისთვის ან ვალების გადასახდელად. შემოსავლების ანგარიშის საშუალებით ასევე შესაძლებელია, განვსაზღვროთ ცალკეული პირების ბიუჯეტი. ცალკეული პირების ბიუჯეტი არის კონკრეტული გეგმა მიღებული შემოსავლების დასახარჯად, მაგალითად, შემდეგი თვისთვის.

ცხრილი გვიჩვენებს შემოსავლების ანგარიშს კომპანია Northeast Art Supply-სთვის. კომპანიისთვის წლიურ შემოსავლებს მინუს რეალიზებული საქონლის ღირებულება მინუს ოპერაციული ხარჯები უდრის წმინდა მოგებას.

ცხრილი - ბიზნესის შემოსავლების ანგარიშგება
შემოსავლების ანგარიში აჯამებს ფირმის შემოსავლებსა და ხარჯებს კონკრეტულ სააღრიცხვო პერიოდში. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის გადასახადების გადახდის შემდეგ წმინდა მოგებაა \$30, 175.
კორპორაცია Northeast Art Supply
შემოსავლების ანგარიში წლის ბოლოსთვის
31 დეკემბერი, 20XX წელი

შემოსავლები
გაყიდვებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი - \$465, 000
მინუს დაბრუნებული საქონელი და ფასდაკლებები დაზიანებულ საქონელზე - 9, 500
მინუს ფასდაკლებები გაყიდვის დროს - 4, 500
წმინდა გაყიდვები - \$451, 000

რეალიზებული საქონლის ღირებულება
საწყისი მარაგების მოცულობა, 1 იანვარი, 20XX წელი - \$ 40, 000
საქონლის შესყიდვები - \$346, 000
მინუს ფასდაკლებით შემენა - 11, 000
შესყიდვების წმინდა მოცულობა - \$335, 000

გასაყიდი საქონლის ღირებულება - 375, 000
მინუს საბოლოო მარაგების მოცულობა, 31 დეკემბერი, 20XX წელი - 41, 000
რეალიზებული საქონლის ღირებულება - \$334, 000
მთლიანი მოგება - \$117, 000

ოპერაციული ხარჯები

გაყიდვის ხარჯები
გამყიდველების ხელფასები - \$22, 000
რეკლამა - 4, 000
გასაღების სტიმულირება - 2, 500
მაღაზიის აღჭურვილობის ამორტიზაცია - 3, 000
მიმწოდებელი ტექნიკის ამორტიზაცია - 4, 000
გაყიდვის სხვადასხვა ხარჯები - 1, 500
სულ გაყიდვის ხარჯები - \$37, 000

საერთო ხარჯები

ოფისის თანამშრომელთა ხელფასები - \$28, 500
რენტა - 8, 500
ავეჯის ამორტიზაცია - 1, 500
კომუნალური ხარჯები - 2, 500
სადაზღვევო ხარჯები - 1,000
სხვადასხვა ხარჯი - 500
სულ საერთო ხარჯები - \$42, 500

ოპერაციული ხარჯები სულ - \$79, 500

წმინდა მოგება ოპერაციებიდან - \$37, 500 (117, 000 – 79, 500)
მინუს პროცენტების გადახდის ხარჯები - \$2, 000
წმინდა მოგება გადასახადების გადახდამდე - \$35, 500
მინუს ფედერალური გადასახადი შემოსავლებზე - \$5, 325
წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ - \$30, 175

შემოსავლები არის ფირმის მიერ გამომუშავებული თანხა, რომელიც იგი ღებულობს საქონლის გაყიდვიდან, მომსახურების გაწევიდან, ან ბიზნესსაქმიანობის განხორციელებიდან მიიღება. ყველა კორპორაციის მსგავსად, Northeast Art Supply-ც შემოსავლებს ძირითადად თავისი საქონლისა ან მომსახურების გაყიდვის შედეგად იღებს. შემოსავლების ანგარიშში შემოსავლების სეგმენტი გაყიდვებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლებით იწყება. **მთლიანი შემოსავალი გაყიდვებიდან** არის სააღრიცხვო პერიოდში ყველა საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული თანხის რაოდენობა. მთლიანი შემოსავლიდან გამოქვითვებს წარმოადგენს შემდეგი სიდიდეები:

- დაბრუნებული საქონელი - ფირმის მომხმარებლების მიერ უკან დაბრუნებული საქონელი;
- ფასდაკლება დაზიანებულ საქონელზე - ფასის შემცირება მომხმარებლისათვის, რომელიც დათანხმდა მცირედ დაზიანებული, ან დასვრილი საქონლის შეძენაზე;
- ფასდაკლებები გაყიდვის დროს - ფასდაკლება მომხმარებლებისათვის.

დანარჩენი ფირმის წმინდა გაყიდვებია. **წმინდა გაყიდვები** არის ფირმის მიერ მიღებული თანხა საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან, კორექტირებული საქონლის უკან დაბრუნებების, დაზიანებულ საქონელზე ფასდაკლებების და გაყიდვის დროს ფასდაკლებების მაჩვენებლების სიდიდით. კორპორაცია Northeast Art-ისთვის წმინდა გაყიდვების მაჩვენებელი \$451 000-ს შეადგენს.

რეალიზებული საქონლის ღირებულების გაანგარიშების სტანდარტული მეთოდი შემდეგში მდგომარეობს:

რეალიზებული საქონლის ღირებულება = საწყისი მარაგების მოცულობა + შესყიდვების წმინდა მოცულობა - საბოლოო მარაგების მოცულობა

ცხრილის შესაბამისად, კორპორაცია Northeast Art Supply-მ მისი სააღრიცხვო პერიოდი პირველ იანვარს სასაქონლო მარაგებით დაიწყო, რომლის ღირებულებაც შეადგენდა \$40, 000-ს. მომდევნო 12 თვის განმავლობაში ფირმამ \$346, 000-ის ღირებულების საქონელი შეიძინა. თუმცა ფასდაკლების გამო ფირმამ ამ საქონელში მხოლოდ \$335, 000 გადაიხადა. ამგვარად, ამ წელს კორპორაციას ჰქონდა \$40, 000-ს პლიუს \$335, 000-ის ღირებულების გასაყიდად გამზადებული პროდუქცია, რაც სულ \$375, 000-ს შეადგენს.

12 თვის შემდეგ, 31 დეკემბერს, სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, კორპორაციას \$41, 000-ის ღირებულების სასაქონლო მარაგები დარჩა. ამგვარად, კორპორაცია Northeast Art-ის რეალიზებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა \$334, 000, ანუ \$375, 000-ისა და \$41, 000-ის სხვაობა. ახლა უკვე შესაძლებელია, რომ გამოვიანგარიშოთ მთლიანი მოგება. ფირმის **მთლიანი მოგება** არის მის წმინდა გაყიდვებს გამოკლებული რეალიზებული საქონლის ღირებულება. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის მთლიანმა მოგებამ \$117, 000 შეადგინა.

ფირმის **ოპერაციული ხარჯები** არის ბიზნესის ყველა ხარჯი, გარდა რეალიზებული პროდუქციის ღირებულებისა. მთლიანი **ოპერაციული ხარჯები**, როგორც წესი, იყოფა ორ კატეგორიად: გაყიდვის ხარჯებად და საერთო ხარჯებად.

გაყიდვის ხარჯები არის ფირმის მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის გაყიდვის საერთო ხარჯების სიდიდე \$37, 000-ს შეადგენს. **საერთო ხარჯები** არის ბიზნესის მართვის პროცესში გაწეული ხარჯები. ამ შემთხვევაში, საერთო ხარჯები \$42, 500-ს შეადგენს. ახლა უკვე შესაძლებელია, რომ შევკრიბოთ, როგორც გაყიდვის, ასევე საერთო ხარჯები. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, სულ **ოპერაციული ხარჯების** სიდიდე ერთობლიობაში მიმდინარე სააღრიცხვო პერიოდისთვის \$79, 500-ია.

როცა შემოსავლები ხარჯებს აჭარბებს, სხვაობას **წმინდა მოგება** ეწოდება. როცა ხარჯები აჭარბებს შემოსავალს, სხვაობას **წმინდა ზარალი** ეწოდება. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის წმინდა მოგება ოპერაციებიდან გამოთვლილია, როგორც სხვაობა მთლიან მოგებასა (\$117, 000 დოლარი) და **ოპერაციულ ხარჯებს** (\$79, 500 დოლარი) შორის. კორპორაციისთვის წმინდა მოგება ოპერაციებიდან \$37, 500 დოლარს შეადგენს. ამ სიდიდიდან უნდა გამოვკვითოთ საპროცენტო ხარჯი (\$2, 000), რათა მივიღოთ წმინდა მოგება გადასახადების გადახდამდე (\$35, 500). საპროცენტო გადახდების ხარჯი შემოსავლების ანგარიშის ამ სექციაში იმიტომია, რომ იგი **ოპერაციულ ხარჯს** არ განეკუთვნება. ეს ხარჯი დაკავშირებულია ბიზნესის დაფინანსებასთან.

კორპორაცია Northeast Art Supply-ის მიერ შემოსავლებიდან გადასახდელი ფედერალური გადასახადების სიდიდეა \$5, 325. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადასახადები ფირმამ შეიძლება დაფაროს ან ვერ დაფაროს, ისინი ხარჯებს წარმოადგენენ და შემოსავლისაგან უნდა გამოიქვითოს. შესაბამისად, კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ \$30, 175-ს შეადგენს. ამ თანხის შენახვა ან რეინვესტირება შეიძლება ფირმაში, ასევე, შესაძლებელია გამოყენება აქციონერებისთვის დივიდენდების გასაცემად, ფირმის ვალების დასაფარად ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის მისაღწევად.

4.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ნაღდი ფული ნებისმიერი ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. **ფულადი ნაკადების ანგარიშგება** გვიჩვენებს, სააღრიცხვო პერიოდში თუ როგორ მოქმედებს ფირმის ფულად ნაკადებზე ოპერაციული, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობა. როდესაც ფირმის ბუღალტრული ბალანსი გვიჩვენებს აქტივებით, ვალდებულებებით ან დამფუძნებელთა კაპიტალით გამოხატულ ფირმის ფინანსურ მდგომარეობას და შემოსავლების ანგარიშგებას - ფირმის მოგებას ან ზარალს, ფულადი ნაკადების ანგარიშგება ფოკუსირებულია ფირმის განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე, რომელიც საჭიროა გადახდების განსახორციელებლად. ფირმის აღმასრულებელ ხელმძღვანელობასა და მენეჯერებს ასევე შეუძლიათ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია გამოიყენონ, რათა განსაზღვრონ, თუ რა რაოდენობის ნაღდი ფულია ფირმის განკარგულებაში, რათა მოგვიანებით გასცენ დივიდენდები აქციონერებისათვის. საბოლოო ანგარიშით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ ფირმის სამომავლო ინვესტიციებთან და ფინანსურ საჭიროებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. აქციონერების გარდა, ფირმის ფულადი ნაკადების ანგარიშგებით ასევე

დაინტერესებულნი არიან ინვესტორები, კრედიტორები და მიმწოდებლები. ინვესტორებს აინტერესებთ, შეძლებს თუ არა ფირმა დივიდენდების გადახდას მომავალში. ფირმისათვის სესხის მიცემამდე, კრედიტორები და მიმწოდებლები ხშირად იყენებენ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას, რათა შეაფასონ ფირმის შესაძლებლობები ვალების დაფარვასთან დაკავშირებით.

კორპორაცია Northeast Art Supply-ისთვის ფულადი ნაკადების ანგარიში გამოსახულია ცხრილში. ის გვაწვდის ინფორმაციას კომპანიის ფულადი შემოსავლებისა და ფულადი გადახდების შესახებ სამი განსხვავებული მიმართულებით: ოპერაციული, საინვესტიციო და ფინანსური.

ცხრილი 17.9 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშები აჯამებს, თუ რა გავლენა აქვს ფირმის ფულად ნაკადებზე ოპერაციულ, საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობას კონკრეტული პერიოდის განმავლობაში - ერთი თვე, სამი თვე, ექვსი თვე, ერთი წელი. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის წლის ბოლოსთვის არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში შეადგენს \$59, 000-ს, იგივე მაჩვენებელს, რაც წარმოდგენილი იყო კორპორაციის ბუღალტრულ ბალანსში ნაღდი ფულის მუხლის სახით.

**კორპორაცია Northeast Art Supply
ფულადი ნაკადების ანგარიში წლის ბოლოსთვის
31 დეკემბერი, 20XX წელი.**

ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან

წმინდა მოგება - \$30, 175

ცვლილებები, რათა წმინდა მოგების შეთანაწყობა მოხდეს ნაღდი ფულის წმინდა ნაკადებთან ამორტიზაცია - \$8, 500

დებიტორული დავალიანების შემცირება -1, 000

მარაგების ზრდა - (5, 000)

კრედიტორული დავალიანების ზრდა - 6, 000

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადების ზრდა 3, 000

13, 500

წმინდა ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან - \$43, 675

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

აღჭურვილობის შეძენა - \$ (2, 000)

საინვესტიციო ფასეულობების შესყიდვები - (10, 000)

საინვესტიციო ფასეულობების გაყიდვები - 20, 000

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან - \$8, 000

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

გადასახდელი ვალები - \$(23, 000)

გადასახდელი დივიდენდები - (5, 000)

წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან - \$(-28, 000)

ნაღდი ფულის წმინდა ზრდა - \$23, 675

ნაღდი ფულის ნაშთი წლის დასაწყისში - 35, 525

ნაღდი ფულის ნაშთი წლის ბოლოსთვის - \$59, 000

- ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან.** ეს არის ფულადი ნაკადების ანგარიშგების პირველი სექცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ფირმის შემოსავლის ძირითად წყაროზე - საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე. ტიპური შესწორებები მოიცავს ფირმის წმინდა მოგებაზე ამორტიზაციის თანხის დამატებას. საჭიროა სხვა შესწორებები ზრდისა და შემცირების მიმართულებით - დებიტორული დავალიანების, სასაქონლო მარაგების,

კრედიტორული დავალიანების და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადების მუხლებში, რათა ვაჩვენოთ ფულადი ნაკადების ანგარიშის რეალური სურათი ოპერაციული საქმიანობიდან.

- **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან.** ანგარიშის მეორე სექციაში ყურადღება გამახვილებულია ნაღდ ფულზე, რომელიც ინვესტიციების განხორციელების შედეგად მიიღება. ეს მოიცავს მიწის, აღჭურვილობის და სხვა აქტივებისა თუ ვალდებულებების შესყიდვას და გაყიდვას.
- **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.** მესამე და საბოლოო სექცია მოიცავს ფულად ნაკადებს ყველა ფინანსური საქმიანობიდან. ის გვაწვდის ინფორმაციას სავალო ვალდებულებების და მესაკუთრეთა კაპიტალის ანგარიშებში ცვლილებების შესახებ. იგი მოიცავს სესხებს და აღებული სესხის თანხის უკან დაბრუნებას, კომპანიის აქციების გაყიდვას ან გამოსყიდვას, ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილ დივიდენდებს.

სამივე საქმიანობის შედეგები შეჯამებულია და დამატებულია ნაღდი ფულის საწყის ნაშთზე, რათა განვსაზღვროთ ნაღდი ფულის საბოლოო ნაშთი. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის ნაღდი ფულის საბოლოო ნაშთი შეადგენს \$59, 000-ს. გაითვალისწინეთ, რომ ეს არის ნაღდი ფულის იგივე მაჩვენებელი, რაც ფირმის ბუღალტრულ ბალანსში იყო ასახული. ფულადი ნაკადების ანგარიში, ბუღალტრული ბალანსი და შემოსავლების ანგარიში გვიჩვენებს წარსულში მიღებული ბიზნესგადაწყვეტილებების შედეგებს და ასახავს ფირმის შესაძლებლობას, გადაიხადოს ვალები, დივიდენდები და დააფინანსოს კომპანიის შემდგომი ზრდა.

4.4 ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტი არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს ფირმის ფინანსური ანგარიშების ორ ელემენტს შორის. შესაძლებელია მრავალი ფინანსური კოეფიციენტის გამოთვლა, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ სამ ძირითადს, რომლებიც გამოიყენება ისეთი კატეგორიების გასაზომად, როგორცაა ფირმის რენტაბელურობა (მომგებიანობის, შემოსავლიანობის), ფირმის შესაძლებლობა, რომ მოემსახუროს ვალებს და რამდენად ხშირად ყიდის ფირმა მის საკუთრებაში არსებულ მარაგებს. ეს კოეფიციენტები შესაძლებელია შევადაროთ ფირმის კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებს, დარგის საშუალოებს, ასევე ფირმის წინა საალრიცხვო პერიოდების მაჩვენებლებს. ინფორმაცია, რომელიც გვჭირდება ამ კოეფიციენტების გამოყვანისთვის, შეგვიძლია მოვიძიოთ ფირმის ბუღალტრულ ბალანსში, შემოსავლების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშებში.

ფირმის მომგებიანობის გაზომვა

ფირმის წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ გვიჩვენებს, ფირმა რენტაბელურია თუ არა, თუმცა არ გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანად იყენებს ის თავის რესურსებს. ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოვიანგარიშოთ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის კოეფიციენტი. **გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ან ზღვრული შემოსავალი)** არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება გადასახადების გადახდის შემდგომი წმინდა მოგების შეფარდებით წმინდა გაყიდვების მაჩვენებელთან. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის:

$$\text{გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი} = \text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ} / \text{წმინდა გაყიდვების მაჩვენებელი} = \$30, 175 / \$451, 000 = 0,067, \text{ ან } 6.7 \%$$

გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის კოეფიციენტი აღნიშნავს, თუ რამდენად ეფექტიანად გარდაქმნის ფირმა პროდუქციის გაყიდვებს მოგებად. გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა უკეთესია, ვიდრე დაბალი მნიშვნელობა. დღეისთვის, გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა ყველა ფირმისათვის 4-დან 5 პროცენტამდე შუალედში მერყეობს. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის კოეფიციენტის მნიშვნელობაა 6.7 პროცენტი და ის საშუალო მნიშვნელობას აღემატება. გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის დაბალი მნიშვნელობა შესაძლებელია გავზარდოთ ფირმის დანახარჯების შემცირების გზით, გაყიდვების ზრდით, ან ორივეთი ერთად.

✚ ფირმის მიერ ვალების მომსახურების შესაძლებლობის გაზომვა

ლიკვიდურობის კოეფიციენტი ფირმამ შესაძლებელია მიმდინარე ვალების გადახდის შესაძლებლობის შესაფასებლად გამოიყენოს. **ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი** - გამოიანგარიშება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის:

$$\text{ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი} = \text{მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები} = \$182,000/\$70,000 = 2.6$$

ეს ნიშნავს, რომ კორპორაცია Northeast Art Supply-ს აქვს \$2.6-ის ღირებულების მიმდინარე აქტივები ყოველი 1 დოლარის ღირებულების მქონე მიმდინარე ვალდებულებისათვის. მთლიანი დარგისთვის ლიკვიდურობის (დაფარვის) საშუალო კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს 2-ს, თუმცა იგი სხვადასხვა დარგისათვის განსხვავებულია. ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ფირმას შეუძლია დაფაროს მისი მიმდინარე ვალდებულებები. ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა შესაძლებელია გაუმჯობესდეს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვით, აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდების შემცირებით, ან ინვესტორებისგან დამატებითი დაბანდებების მიღებით.

✚ ფირმის მარაგების გამოყენების ეფექტიანობის გაზომვა

მარაგების ბრუნვა არის ის, თუ რამდენჯერ გაყიდა ფირმამ მის განკარგულებაში არსებული სასაქონლო მარაგები ერთი წლის განმავლობაში. იგი გამოიანგარიშება ერთი წლის მანძილზე გაყიდული საქონლის ღირებულების შეფარდებით მარაგების საშუალო ღირებულებასთან.

მარაგების საშუალო ღირებულება რომ გამოვიანგარიშოთ, საწყისი მარაგების ღირებულებას უნდა დავუმატოთ საბოლოო მარაგების ღირებულება (რომელიც ნაჩვენებია შემოსავლების ანგარიშში) და მიღებული მნიშვნელობა გავყოთ ორზე. კორპორაცია Northeast Art Supply-სთვის მარაგების საშუალო ღირებულებაა \$40,500. შესაბამისად:

$$\text{მარაგების ბრუნვა} = \text{გაყიდული საქონლის ღირებულება/მარაგების საშუალო ღირებულება} = \$334,000/\$40,500 = 8.2\text{-ჯერ წელიწადში}$$

კორპორაცია Northeast Art Supply ყოველ წელს მის განკარგულებაში არსებულ სასაქონლო მარაგებს 8.2-ჯერ ყიდის, ან, დაახლოებით, ყოველ 45 დღეში ერთხელ. მარაგების ბრუნვის საშუალო მაჩვენებელი ყველა ფირმისათვის წელიწადში დაახლოებით 9-ს შეადგენს, მაგრამ ბრუნვის მაჩვენებლები ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა დარგისთვის. მაგალითად, სუპერმარკეტების მარაგების ბრუნვის მაჩვენებელი შეიძლება 20 და მეტი იყოს, მაშინ, როდესაც ავეჯის მაღაზიებისთვის შეიძლება საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით ნაკლები იყოს. მარაგების ბრუნვაობის მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის ყველაზე სწრაფი გზაა, რომ შევუკვეთოთ საქონლის მცირე რაოდენობები უფრო ხშირი ინტერვალებით.

ზემოთ განხილული პრინციპით შეიძლება სხვა კოეფიციენტებიც გავიანგარიშოთ: მესაკუთრეთა შემოსავლის კოეფიციენტი, მოგება ერთ აქციაზე გაანგარიშებით, ვალის საკუთარ კაპიტალთან მიმართება. ყოველივე ეფუძნება ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს ფირმის ბუღალტრული ბალანსი, შემოსავლების ანგარიშგება და ფულადი ნაკადების ანგარიშები.

5. ბიზნესის დაბეგვრა

საქართველოში არსებული გადასახადის სახეების და მათი განაკვეთების შესახებ ინფორმაციას გაეცანით ლინკზე: <https://www.rs.ge/5509>